# პიონერი

11
1975

140
1975

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ელექტრონული ბიბლიოთეკა



ნიკოლოზ ტიხონოვი

მხატვარი დ. ბისტი.

# აპრილის საღამო

მოთხრობა

ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლის სამი აპრილის საღამო იყო. პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი ანატოლ ორშევსკი წვეულებიდან შინ ბრუნდებოდა. მასპინძელი გახლდათ მისი მეგობარი სტუდენტი ვასილ შახოვი, რომელთანაც მთელი საღამო იკამათა.

ჯერ სუფრასთან კამათობდნენ, შემდეგ კი მათი დავა ვასილის ოთახში გაგრძელდა და ბოლო არ უჩანდა. ბოლოს, როგორც იქნა, შეწყვიტეს კამათი. ორივეს გაეცინა.

— მე და შენ ხომ ნამდვილი მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა


# პიონერი

11

ნოემბერი

1975

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა


გობრები ვართ, — წამოიძახა შახოვმა, — მაშ რაღას ვდაობთ ასე თავგამოდებით?

— ახლა რუსეთში ყველა კამათობს — ქუჩაში, მიტინგებზე თუ სახლებში, ღარიბიცა და მდიდარიც, კამათობენ მთავრობაშიც და საბჭოშიც, მუშები, ჯარისკაცები, გლეხები — ყველანი ყვირიან. არ შეიძლება არ იყვირო. როგორ იცხოვრებს რუსეთი, რა გზას დაადგება?

— ჩვენ, ეტყობა, თავიდან ვიწყებთ კამათს, — უპასუხა გაფიცხებულმა შახოვმა. — ველოდით, ველოდით რომანოვების დამხობას. დაამხეს. დიდი თუ პატარა, ყველა ზეიმობდა. გვყავს დროებითი მთავრობა და მას მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო მხარს უჭერს. ხელისუფლება არსებობს, მაშასადამე, წესრიგიც იქნება.

— დაიცა, ძვირფასო ვასია, მომისმინე. რა წესრიგი უნდა იქნეს, როცა ის შენი მინისტრები — კაპიტალისტები არაფერს აკეთებენ ხალხისათვის. აგერ, რევოლუციიდან მეორე თვე გადის და მთავარზე კრინტიც არ დაძრულა.

— რას ეძახი მთავარს?

— ომი უნდა გათავდეს, მათ კი ეს-ეს არის დაადგინეს: „ომი გამარჯვებამდე!“ გლეხებს მიწა უნდათ, მინისტრებმა კი რა გამოაცხადეს? საუფლისწულო მიწები მიწათმოქმედების სამინისტროს გადასცეს და არავინ იცის, ვის ან როდის მიეცემა ის მიწები. საით წაგვიყვანენ ისინი ჩვენ?

— მაგრამ როძიანკო, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე, ხომ გამოცდილი პოლიტიკოსია.

— შენ ის დიდი ვინმე გგონია? სასაცილოა, ღმერთმანი!

— კერენსკი? როგორ ლაპარაკობს, როგორ აღაგზნებს ხოლმე ყველას თავისი გამოსვლებით! როგორ ამსხვრევს ძველ რეჟიმს!

— შენი კერენსკი ვექილია. მისი სიტყვები ცარიელი ლაილაია... ხოლო რა იქნება შემდგომ? რამდენ ხანს უნდა ილაქლაქონ იმ ძენმა დროებითებმა... კაპიტალისტებმა!

— კი მაგრამ, მათ ხომ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოც ეთანხმება.

— იცი, რა, ვასია, — თქვა ანატოლმა გადაჭრით, — მე კარგად ვერ ვერკვევი პარტიებში; საბჭოში არიან მენშევიკებიც, ესერებიც, ანარქისტებიც, ბოლშევიკებიც, მაგრამ ერთი რამ არ მესმის: რატომ უნდა იარონ მუშებმა და ჯარისკაცებმა დროებითი მთავრობის გზით? დიახ, რატომ?

და აი, მიდიოდა ანატოლი შინისაკენ და კვლავ აწამებდა ფიქრები იმაზე, თუ რატომ არ არის გარკვეული, საითკენ მიჰყავთ ქვეყანა მინისტრებს, რომელთაც სამართლიანად უწოდებენ მინისტრ-კაპიტალისტებს...

იმ დღეებში მხოლოდ მას როდი ტანჯავდა ეს კითხვები. მთელი ქვეყანა დუღდა. რევოლუციურ პეტროგრადს ხომ ნუღარ იტყვით. აი თუნდაც ახლა. უქმე დღეა, დიდი რუსული დღესასწაულის — აღდგომის მეორე დღე. ქარხნები არ მუშაობენ, ტრამვაის ვაგონებიც კი დგანან, მაშ საიდან მოედინება მუშათა უზარმაზარი ნაკადები? მოდიან, როგორც დემონსტრაციაზე, წითელი დროშებით, სიმღერებით. მოდიან და მოდიან სატვირთო მანქანებითაც. ბევრი მათგანი საზეიმოდ არის გამოწყობილი. მწყობრ რიგებად მოაბიჯებენ ჯარისკაცები და მუშათა კოლონებს უერთდებიან. ნეტავი რა ამბავია?

საკუთარი ფიქრებით გართული ანატოლი პირველ ხანს როგორღაც იკაფავდა გზას, მაგრამ შემდეგ გაუჭირდა, რადგან კოლონები ერთმანეთის მხარდამხარ იჭერდნენ ადგილს და, მალე ვაგზლისწინა მოედანი ისე გაიჭედა, საბარგო მანქანები ვეღარ იძროდნენ და იქვე რჩებოდნენ. ადამიანთა თავების ზღვა განუწყვეტლივ ირწეოდა — გზას აძლევდნენ ვაგზლისაკენ მომავალ ახალ დემონსტრანტებს, რა ხდება? ფინეთის ვაგზალი, ეტყობა, ვილაცის ჩამოსვლას ელოდება.

ანატოლ ორშევსკიმ გადაწყვიტა



მარქსის

ენახა, რა მოხდებოდა. მნიშვნელოვანი ამბავი რომ უნდა მომხდარიყო, ეს კარგად ჩანდა შეკრებილთა აღელვებული სახეებით, ხმათა გუგუნით, შეძახილებით, თითქოს რაღაც მძლავრი მისალმებისათვის ემზადებიანო. უეცრად მოედანს რევოლუციური სიმღერა მოეფინა. მღეროდნენ ხმაშეუწყობლად, მაგრამ ხმამაღლა და მტკიცედ. ანატოლმა სცადა ისეთი ადგილი მოეძებნა, საიდანაც უკეთ დაინახავდა ვაგზალში შემოსასვლელს. იგი წააწყდა ერთ სატვირთო მანქანას, რომლიდანაც მუშები ხან ჩამოდიოდნენ, ხან ისევ ადიოდნენ. მანქანის უკან კედლის მოხერხებული შვერილი იყო და ანატოლიც რის ვაივაგლახით აფოფხდა ზედ.

ამასობაში შავბუშლატიანი, კრიალაიარაღიანი მეზღვაურებიც მოვიდნენ ვაგზალზე. ჯავშნოსნებმა მიტრიალ-მოტრიალება იწყეს სათანადო ადგილების დასაჭერად. დრო შეუმჩნევლად გადიოდა. ანატოლმა ყური მიუგდო თავის გარშემო ლაპარაკს. ვიღაცამ დაიძახა: „დავიცდით, სულ ერთია, თუნდაც მთელ ღამეს დავიცდით!“ მას მეორე ხმა გამოეპასუხა: „რას ამბობ, თქვეს, ბელოოსტროვს გამოსცდაო; იქამდე კი ერთი ხელის გაწვდენაა“.

უეცრად მოედანი განათდა — საინჟინრო ჯარების ჯარისკაცებს პროჟექტორები მოეტანათ. ანატოლი უცნაურ გრძნობას შეეპყრო. იგი თებერვლის რევოლუციის დღეებში ბევრი სცენის მნახველი გახდა — აღფრთოვანებისაც და ტრაგიკულისაც, როცა ძველი რეჟიმის უკანასკნელ მსახურთა ტყვიები ცელავდა ადამიანებს; ნახა ვნებათა ღელვით აღსავსე მიტინგები და კრებები, მაგრამ ამჯერად, ხალხის ამ შეკრებაში იყო რაღაც ახალი, რაღაც არაჩვეულებრივი.

წამდაუწუმ გაისმოდა ერთი სახელი და იგი ახალგაზრდა სტუდენტზე მეტად თავისებურ შთაბეჭდილებას ახდენდა. ანატოლს გაგონილი ჰქონდა ეს სახელი. მას, ვისაც ეს სახელი ერქვა, ზოგიერთი ლამის ძალზე საშიშ მოვლენადაც კი თვლიდა ხალხისათვის. თუ ეს სიმართლეა, მაშინ რატომ მოვიდა ამდენი ხალხი მის დასახვედრად ასეთი სიყვარულითა და ნდობით? რა აერთიანებთ მუშებს, ჯარისკაცებს, ქალებს, ხანდაზმულებს, ახალგაზრდებს ამ შეხვედრაზე?

ანატოლის თავში აზრი აზრს ცვლიდა, ერთი რამ კი ნათელი იყო: იგი არაჩვეულებრივი ამბის მოწმეა. მართალია, ჯერ კიდევ ვერ ერკვევა ვითარებაში, მაგრამ ღირს იმის ნახვა, რაც ახლა მოხდება. ახალგაზრდა სტუდენტმა თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო თავი ხალხის მასებში და ეს შეგრძნება ესიამოვნებოდა, რადგან აქ, ამ მოედანზე, არაფერი იყო ფარისევლური, არაფერი იყო ყალბი. ყველაფერი სიცოცხლით, დიდი გრძნობებით, დიდი იმედებით სუნთქავდა.

თორმეტ საათზე სადღაც სიბნელეში საყვირის ხმა გაისმა. იმავე წამს ყველა ორკესტრმა ერთხმად დაუკრა. უკვე ისმოდა მოახლოებული ორთქლმავლის ხმაური და ქშენა. ვაგზლის თავზე ბოლის ბოლქვები გამოჩნდა. მოედანი ხან გაიტრუნებოდა, ხან ისევ ახმიანდებოდა.

— მოდის, მოდის! — გაისმა ვაგზლის მხრიდან, მაგრამ აყელყელავებულმა ანატოლმა ვერავინ დაინახა, ადამიანთა ერთი ჯგუფის გარდა, რომელიც ვაგზლიდან გამოვიდა და მაშინვე ხალხის ტალღაში შთაინთქა. პროჟექტორებითა და ჩირაღდნებით გაკაშკაშებული, დროშებითა და პლაკატებით გაბრწყინებული მოედანი გუგუნებდა „ვაშას“ და ორკესტრების გრიალში გაჰყვიროდა: „ლენინი! ლენინი! სალამი ლენინს! გაუმარჯოს რევოლუციას!“

უცებ, თითქოს ვიღაცის უხილავ ნიშანზე ყოველივე მიყუჩდა და ანატოლმა ვერ მოჰკრა თვალი, როგორ გამოვიდა ლენინი ვაგზლიდან მოედანზე, მაგრამ ჯავშნოსანზე რომ ავიდა, იგი გარკვევით დაინახა ყველა ახლო მყოფმა. ლენინს საგაზაფხულო პალტო და რუხი კოსტიუმი ეცვა. ჯავშნოსანზე მდგარი, ხალხისკენ ხელგაწვდილი ხმამაღლა ლაპარაკობდა და მაინც მხოლოდ ცალკეული ფრაზები აღწევდა ანატოლის სმენამდე, თუმცა ყველანი სუნთქვაშეკრულნი უსმენდნენ. თანდათანობით, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებისაგან შეიკრა აზრები, რომლებიც მსმენელთა გულში იბუდებდნენ, და ანატოლმა სრულიად მკაფიოდ გაიგონა, ჩირაღდანივით როგორ ისროლა ლენინმა უკანასკნელი ფრაზა: „გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!“

საოცარი რამ დაემართა ხალხს. თითქოს ვინმემ ისეთი ენერგია შთაბერა, არავის შეეძლო ერთ ადგილზე მშვიდად დგომა. უნდა ამოძრავებულიყვნენ, უნდა ევლოთ. და, მართლაც, დაიძრა არნახული პროცესია.

მთელმა მოედანმა ერთი მხრისაკენ იბრუნა პირი. დაძრული ხალხის შეძახილებსა და ხმაურში ლენინი ერთხანს კიდევ მოჩანდა მიმავალ ჯავშნოსანზე, შემდეგ დაბლა ჩამოვიდა და მძღოლის გვერდით დაჯდა. ჯავშნოსანი ვაგზლის შესახვევისაკენ გაემართა.

თუმცა მანქანებისა და კოლონების დიდი ორომტრიალი იყო, ანატოლმა მაინც მოახერხა კედლის შვერილიდან სატვირთო მანქანაში ჩახტომა და იქ მდგომთა შორის ჩაჭედვა. იგი ახლა წინ მიმავალი ჯავშნოსნის გარდა აღარაფერს აქცევდა ყურადღებას.

დასასრული არ უჩანდა პროცესიას, რომელიც ორიოდე წუთით ჩერდებოდა, როცა მეწინავე ჯავშნოსანი დგებოდა. ჯავშნოსნის კიბეზე მდგომი, ზოგჯერ კი ძირს, ქუჩაზე ჩამოსული ლენინი მოკლე სიტყვას ამბობდა, ან, უბრალოდ, ხალხს ესალმებოდა. საცხოვრებელი სახლების ფანჯრებიდან თავს ყოფდნენ გაოცებული მობინადრენი, ჩერდებოდნენ უჩვეულო სანახაობით განცვიფრებული გამვლელები.

ლენინის ყოველი გამოჩენისას კოლონებში მისალმების სიტყვები ჭექდა, ქუდებს ცაში ისროდნენ, მაღლა სწევდნენ შაშხანებს...

ანატოლი გაოცებული იყო ნანახით. ღამემ ადამიანთა სახეები გადაასხვაფერა. იგი უდიდესი ცნობისმოყვარეობით უყურებდა თანაქალაქელებს, მაგრამ ასეთი სახეები მას არასოდეს ენახა.

უყურებდა პროჟექტორებით, ჩირაღდნებით განათებულ დაუვიწყარ სახეებს, რომლებზეც შეგეძლოთ წაგეკითხათ შეუპოვრობა, რევოლუციის მტრების მიმართ დაუნდობლობა, აღფრთოვანება, ანარეკლი მკაცრი სინაზისა მათთვის ყველაზე ძვირფასისადმი.

ერთი აზრი, ერთი გრძნობა დაუფლებოდა ქალაქში საზეიმოდ და ამავე დროს ქადილით მიმავალ უსასრულო პროცესიას. ვის ემუქრებოდა ხალხის ეს მასა?

იგი ემუქრებოდა იმ ძალებს, რომლებიც გარსშემოხვეულ წყვდიადში მალავდნენ თავს და გაბოროტებით უმზერდნენ ესოდენ განუმეორებელ სანახაობას, თან ემზადებოდნენ, მეორე დღესვე შეეჩერებინათ, უკუეგდოთ, მოესპოთ ის ადამიანები, რომლებიც ასე თავდაჯერებით მიილტვოდნენ წინ, კომუნიზმისაკენ.

ამ ადამიანებს ახარებდა იმის შეცნობა, რომ ახალ დღეთა სათავის დამდებნი თვითონ უნდა ყოფილიყვნენ; რომ რევოლუცია უნდა ამაღლებულიყო უმაღლეს საფეხურზე. თუმცა ამასთან ნათელი იყო ისიც, რომ საჭირო იქნებოდა ახალი მსხვერპლი, ახალი გადამწყვეტი ბრძოლები...

ხალხის ეს მსვლელობა ასეთი ლამაზი, ასეთი შთამბეჭდავი იმიტომაც იყო, რომ მასში გაერთიანდა ყველა, ვინც ჯერ კიდევ სიყმაწვილიდან დადგა რევოლუციის დროშის ქვეშ, ვინც ხვალ ყველა ფრონტზე იბრძოლებდა ოქტომბრის რევოლუციისათვის, ვინც შეუდგებოდა მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს აშენებას, ვინც ბრძოლაში გამოიწვევდა მთელ ძველ სამყაროს და გამარჯვებული დროშების შუქს განფენდა ყოფილი იმპერიის საზღვრებამდე.

ყოველივე ეს არ შეეძლო სცოდნოდა ანატოლ ორშევსკის, პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტს; როცა სატვირთო მანქანაში ხტებოდა, გაიფიქრა, ამ სახალხო მსვლელობას თუ გავყევი, შინ შალე მივალო, მაგრამ ლენინის გამოსვლებს რომ უყურებდა, იგრძნო, რომ მას სწორედ ამ ხალხთან ერთად უნდა ევლო. მან ირწმუნა აქამდე უცნობი ძალა, რომელმაც აუარებელ ადამიანს მოუყარა თავი მოედანზე, მოსწყვიტა რა ისინი თავიანთ ოჯახებს, სადაც შეეძლოთ ძველებურად შეხვედროდნენ აღდგომას, მოსწყვიტა ყოველგვარ წარსულს და დააყენა უცნობ, მაგრამ გმირულ გზაზე, იმ გზაზე, რომელზეც ეს საგაზაფხულოპალტოიანი კაცი მიუძღვებოდა. ანატოლმა ლენინის სახის კარგად დანახვა ვერ მოასწრო, სამაგიეროდ, სამუდამოდ დაიხსომა მისი ჟესტი, მისი წინასწარმეტყველური სიტყვა.

იგი თვალს არ აშორებდა მას და ცქერით ვერ ძღებოდა.

•

დილით ანატოლთან მისი მეგობარი ვასილ შახოვი მივიდა და მისვლისთანვე უთხრა:

— ახალი ამბავი გავიგე, კამათისათვის მისწრებაა. ვიკამათოთ თუ, უბრალოდ, დავსხდეთ და ცხოვრებაზე ვისაუბროთ?

— არა, არ ვიკამათებთ, — თითქმის მედიდურად მიუგო ანატოლმა.

— რატომ?

— იმიტომ რომ, მე უკვე ვიპოვე, რასაც ვეძებდი კამათის დროს.

— მაინც რა იპოვე, თუ საიდუმლო არ არის?

— რისი საიდუმლო! ამაზე ახლა, ალბათ, მთელი მსოფლიო გაჰყვირის. მე, შენც იცი, სპეციალობით ქიმიკოსი ვარ, მაგრამ მიყვარს მუსიკა. ქიმიკოსებს უყვართ ციური ჰარმონიის შემოწმება მიწიერი ფორმულებით. ისიც იცი, რომ მხატვრობასაც მივდევ. აი ახლა მე შენ რაღაცას დაგიხატავ.

— საინტერესოა, — შენიშნა ვასილმა, — აბა, მიდი!

ანატოლმა აიღო ტუში, ქაღალდის ფურცელი და ზედ რაღაც დახაზა. არა, ეს ნახაზი არ გახლდათ...

— მგონი, — თქვა ვასილმა, — მგონი კი არა, ეს ნამდვილად ჯავშნოსანია...

— სწორედ ჯავშნოსანია. ახლა კი...

ვასილი დაბნეული უყურებდა, როგორ აღიმართა ჯავშნოსნის კოშკურაზე კაცის ფიგურა წინ გაწვდილი ხელით.

— ვინ არის ეს კაცი? — იკითხა შახოვმა, — ან რას ამბობს?

— რას ამბობს? მოკლედ გეტყვი... ის, რაც ჩვენ მოვახდინეთ, — ჯერ კიდევ არ არის სრული გამარჯვება. გამარჯვება წინ არის. ეს ის რევოლუცია როდია, პროლეტარული, სოციალისტური რევოლუცია წინ არის!

— მოიცა, მოიცა! — წამოიძახა შახოვმა, — შენ ლენინი დაგიხატავს. ეს მან წარმოთქვა წუხელის სიტყვა ჯავშნოსნიდან ფინეთის ვაგზალზე. აბა რას ამბობ, ვინ გაჰყვება მას?! შენ თვითონ ნახე ის?

— დიახ, მე თვითონ ვნახე. წუხელის მას მიჰყვებოდა მთელი პიტერი — მუშებიც, ჯარისკაცებიცა და მატროსებიც, ქალებიც, მოხუცებიც, მოზარდებიც, ხვალ კი მთელი რუსეთი გაჰყვება!

— დარწმუნებული ხარ? — დაეჭვებით უთხრა შახოვმა, — რატომ გაჰყვება მას?

— იმიტომ, რომ დღეს რუსეთში, ალბათ, იგი არის ერთადერთი კაცი, რომელმაც იცის ნამდვილი გზა!

— ეს როგორ? — უკვე დაბნეულად თქვა შახოვმა, — შენ აქამდე მხოლოდ მარჩიელობდი, უცებ კი — სასწაული! ერთი საღამო და ყველაფერი ნათელი გახდა. განა ხდება ასე?

— ხდება. კარგად თქვი, სასწაული. დიახ, ეს აპრილის ერთი საღამოს სასწაულია და ამ სასწაულმა შეატრიალა არა მარტო ჩემი ცხოვრება, არამედ მთელი რუსეთისაც და, შესაძლოა, უფრო ვრცელისაც...

•

იმ აპრილის საღამოს სასწაული ანატოლ ორშევსკის სიკვდილამდე ახსოვდა. იგი დაიღუპა ფრონტზე წითელი არმიის რიგებში 1918 წელს.

თარგმნა ს. ბეჩოელმა.

# გაინწ ბავაზდა თოფი

ნამდვილი ამბავი

ვინც ეს ამბავი მომითხრო, ის აღარ არის.

## გრიგოლ ხეჩუაშვილი

მხატვარი
ზ. ფორჩხიძე.

მებუკე ბრძოლის შეწყვეტას აუწყებდა... ჭკვიანი მეთაური ჰყავდა ათასეულს. შეტევა რომ არ შეეჩერებინა, ვინ იცის, ქანცგამოლეული ჯარისკაცები შებინდების წინ აათრევდნენ დაღლილ მუხლებს ამ ციცაბო ფერდობზე?

ბუკის ხმაზე მებრძოლებმა უეცრად დაღლილობის მწვავე ტკივილები იგრძნეს. შესვენების მოულოდნელობამ ციებ-ცხელებასავით დაუარათ მთელ სხეულში, ფოლადივით დაჭიმული ძარღვები მოუდუნდათ და ისე უეცრად დაძაბუნდნენ, რომ მოთიბული ბალახივით დაეყარნენ მინდორზე... პირქვე დამხობილი ბიჭები ისე სიამით ჩაეხუტნენ გაზაფხულის ხასხასა ბალახსა და ნელთბილ მიწას, გეგონებოდათ, დედის კალთას ეკვრიანო, დაშაშრული ტუჩებით მიწას დაუწყეს კოცნა. არა, ეს სიცოცხლესთან სასოწარკვეთილ გამოთხოვებას არ ჰგავდა, ეს იყო სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილის აფეთქება...

ჯარისკაცებმა მწვანე ბალახს მიუალერსეს. ნამიანი ფოთლებით სახე გაიგრილეს.

სამარისებურ დუმილში მებრძოლები წამიერ ცდუნებათა სამყაროში გადაიხვეწნენ და ყველა უმალ შეიპყრო ოც-





ნებათა ძილბურანმა. სწორედ მაშინ დრო იხელთეს ბრძოლების დროს მიძინებულმა ფიქრებმა და ფაციფუცით წამოიშალნენ.

აიშალნენ მიძინებული ფიქრები და ლაღად გაინავარდეს მრავალფერად აზვირთებულ სივრცეში. თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრეს ბიჭებმა, რომ მათი ფიქრები ყირიმიდან კავკასიონის მწვერვალებს გადაევლო და მშობლიურ ქალაქებსა და სოფლებს მოეფინა.

პირქვე დამხობილ თედოს ცოლის ლანდი ჭიშკართან შემოეგება. ქალი გულამოსკვნით ქვითინებდა და თანაც ქმარს მკერდზე ეკვროდა.

— გაჩუმდი ქალო, ტაშფანდურით გამაცილე და ახლა იღვრლფები? — დაწყნარდი. გამხდარხარ, დედაკაცო. ვაიმე, ვაიმე, ცოლ-შვილო, წყეულმა ომმა დაგამშიათ! ჰო, იცი რა, ნატო, საბძლის გვერდით ყავარი რომ აწყვია, კოჭებიც ხომ ბევრია. ლამფის ფიცრებიც გაყიდე, გაყიდე, ჩემო ნატო! ფიქრი ნუ გაქვს, დავბრუნდები და სახლს გადავხურავ, ყველაფერი გაყიდე, ოღონდ ბალღები არ მომიმშიო.

ბიჭის დარდი ნუ გექნება, მოსკოვს იცავს, ენაცვალოს მამა ჩემ შევარდენს. ამბობენ, ფირუზას ცაში გამოჩენა ფაშისტებს ზარსა სცემსო.

კინაღამ დამავიწყდა, ნატო, ვენახს მიხედე, ჩემო ყველავ. ვაზის გასხვლის დროა, აბა, რა გესწავლება, დედაყლორტს კვირტები ახლო-ახლო აქვს, ყველა დაუტოვე, გატროყებული ტოტები კი დააჭერი, უქნარა მამლები არიან ეგ ტიალები...

მაპატიე, ჩემო ნატო, ეხლა ქალიც შენა ხარ და კაციც. შენს თავს ვფიცავ, როცა ჩამოვალ, ცივ ნიავს არ მოგაკარებ. გაჩუმდი, ქალო, გაჩუმდი! ჩამოვალ, აბა რა, ჩამოვალ!.. ჰო, მე, რომ ჩამოვალ, ნატო, მაშინ, აი იმ ფარჩის ფოთლიანი კაბით დამიხვდი, რა ვქნა, იმ კაბაში ძალიან კარგი ხარ, დედაკაცო... რად მიყურებ ასე გაკვირვებული, ვეღარა მცნობ? ჰო, პირგაუპარსავი ვარ. ტალახით ამოგანგლული... ეჰ, ომია, ჩემო ნატო... დამთავრდება და ისევ ის თედო ვიქნები.

პატარა ჯარისკაცი თედოს მიუცოცდა, მის გვერდით წამოწვა და ყური მიუგდო; კაცს თვალები ღია ჰქონდა და მიწას ჩასცქეროდა, თითებს ისე აფათურებდა, თითქოს ბალახებში რაღაცას ეძებსო.

—ვის ელაპარაკები, ძია თედო?

პირქვედამხობილმა ჯარისკაცმა ბეჭები ზანტად შეარხია, მერე მგელივით მოღრიცა კისერი და გულაღმა შეტრიალდა. იდაყვებით მიწას დაეყრდნო და ალალი თვალებით ჩააცქერდა ჯარისკაცს.

— ვინა ხარ, ბიჭო, საიდან მიცნობ... სულ ერთავად გვერდიდან რომ არა მშორდები, ხომ არ გეშინია, შვილო? სადაური ხარ, გენავ?..

— თქვენებური ვარ, შილდიდან.

— შილდიდანო! — ფიცხლავ წამოჯდა თედო — აბა ერთი ეგ რკინის ჩაფხუტი მოიხადე!

ქუდმოხდილ ჯარისკაცს გრძელი თმა მკერდზე ჩამოეშალა. კაცი კინაღამ ჭკუაზე შეიშალა. დაიბნა, შეკრთა, პირ-

ჯვრის გადაწერა უნდოდა, ალი იყო თუ ალქაჯი!.. არა, არა, ეს ნამდვილი მოჩვენებაა. იქნებ იმისმა ფიქრებმა ძალიან შორს, ათეული წლების იქით გადააბიჯეს? იქნებ იმისმა ფიქრებმა თედოს სიჭაბუკეს მოუხმეს? ჰო, გაახსენდა, ოზანში ერთი გოგო უყვარდა, ისიც ეგეთი ლამაზი იყო, ჩია, მოხდენილი.

— ჩვენებურიო?! — თედოს ენა აუბორძიკდა.

— ჰო, თქვენებური, ფირუზას მეგობარი.

შვილის სახელის გაგონებაზე თედოს გაყინული ძარღვები გაუთბა, საამო ჟრუანტელმა გამოაფხიზლა. გაუპარსავი ჭაღარა წვერ-ულვაში აებურძგნა და სახეგაბრწყინებული ხალვათად წამოჯდა.

— ფირუზას მეგობარიო!..

— ჰო, ფირუზას მეგობარი.

— ვისი ხარ, შვილო? — გოგოს ალერსიანად მოუთათუნა თითები. მერე გამხდარი ლოყებიდან ტალახი ჩამოსწმინდა, ნათელ შუბლზე ხელი გადაუსვა და როცა უფრო ღრმად ჩააცქერდა მის მწიფე ალუბლისფერ თვალებს გაოცებულმა წამოიძახა:

— გოგო თებრონე, ეს შენა ხარ! — მკერდზე მიიკრა ქალიშვილი და კლდესავით მაგარ კაცს თვალი სიხარულის ცრემლით აევსო. — ვაიმე, შვილო, აქ რამ მოგიყვანა გენაც, ზურგში განა საქმე გამოელიათ იმ ოჯახქორებს?

— მოხალისე ვარ, ძია თედო, სადაც მამაჩემია, იქ გამგზავნეთ-მეთქი, ჰოდა, საფერშლო დავამთავრე თუ არა, აქ გამომგზავნეს. მამაჩემი კი აღარ დამიხვდა...

— გულს ნუ გაიტეხ, შვილო. ომია, ყველაფერი არეულ-დარეულია. აი, დამთავრდება და აბრიაც გამოჩნდება.

— დიდხანს გეძებე, ძია თედო, სხვა ლეგიონში ვიყავი, აქ მოვითხოვე და გადმომიყვანეს; ფირუზამ მომწერა, მამაჩემს გვერდიდან არ მოშორდეო. მას შემდეგ სულ ფეხდაფეხ დაგდევ. ვერ კი ვბედავდი გამოცნაურებას.

— რას ამბობ, თებრო, როგორ თუ ვერ ბედავდი! მაშ ფირუზამ მოგწერა?

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. თედო გულში ფიქრობდა, ეს კნაჭა გოგო რარიგ დამშვენებულაო. სახეზე ღიმილმა გადაურბინა, მერე ერთხელ კიდევ შეათვალიერა ქალიშვილი და კარგა ხანს აღარაფერი უთქვამს.

სიჩუმე ისევ თებრომ დაარღვია:

— გახსოვს, ძია თედო, შარშან ზაფხულში გლდანელი ფალავანი რომ დაანარცხე, ჰოდა, გუშინ რომ ერთი ზონზროხა გერმანელი ჰაერში აიტაცე, სწორედ ის გამახსენდა.

თედოს შეუმჩნევლად ჩაეღიმა.

— გახსოვს, ძია თედო, ფრონტზე რომ მოდიოდი, დეიდა ნატომ კოჭის ძაფი და ნემსი რომ მოგაწოდა მანქანაზე, ერთი კი შეუბღვირე, რამ გაგაგიჟაო, მაგრამ...

— ჭკვიანი ცოლი მყავს! აი, ახლაც თანა მაქვს... შენ რა ყველაფერი აგიკენკია. შენი ოინებიც გაგახსენო?

— ჩემი რა უნდა გახსოვდეს!

— გახსოვს, შე კაწაწა, კოჭლი ნიკას ვირს ბუზანკალა რომ შეუსვი. საბრალო პირუტყვი გაგიჟებული გავარდა თავქვეზე და ნიკამ ყვირილით რომ აიკლო იქაურობა?

ქალიშვილმა გულიანად გადაიკისკისა.

— გახსოვს, ძია თედო, მთაში მიდიოდით, ფირუზამ შეკაზმული ცხენი რომ მოგტაცა?

— მახსოვს, შვილო, აბა, არ მახსოვს?

— ჩემი გულისათვის მოიტაცა.

— შენი გულისათვის?!

— მეორე დღეს ორღობეში შემხვდა, ლოყაზე შენი ხუთივე თითი ეტყობოდა.

— ვაიმე, შვილო, რატომ არ გამიხმა ეს მარჯვენა! მაიცა, მაიცა, გახსოვს, თებრო, შენ და ფირუზა კაკლის ტოტზე ჩამოკიდებულები რომ ღრიალებდით და მშველელი არავინ იყო?

— ჰო, როგორ არ მახსოვს, ძია თედო, მაშ ისიც გეხსომება, შარვლის ღილი რომ გაუწყდა და...

თედოს არასოდეს უცინია ასე გულიანად.

— გახსოვს, ძია თედო, ფირუზამ ჩხვინკაანთ ნიკას რომ სცემა და შენ ცხენის საბლით რომ დააბი თუთის ძირში? უსმელ-უჭმელი ამყოფე მთელ დღეს?

— მახსოვს, მახსოვს, ვაიმე, შვილო, რატომ არ გამიხმება ეს ხელები.

— ჩემი გულისათვის სცემა, ძია თედო.

— გულზე იარა გამიჩინე, გოგო.

— გახსოვს, ძია თედო, ვენახების ბოლოში, მაყვლის ბარდებთან რომ ვისხედით და შენ ბეღურებივით დაგვაფრთხე?

თედოს მკერდში ჭვალმა გაჰკრა.

— დავბერდი, შვილო, ეგეც რომ არ იყოს, ტყვიების ზუზუნმა და ზარბაზნების გრიალმა მეხსიერება დამიჩლუნგა.

— მაშ, არ გახსოვს, ძია თედო?..

ძალიან კარგად ახსოვდა თედოს, სწორედ მაშინ იყო, რომ თებროს თვალწინ ბიჭი ერთი ლაზათიანად გატყიპა. აბრიას გოგოსთან აღარ გნახო, აქედანვე ეტყობა, რა სულისა იქნება; ჯერ მიწას არ ასცილებია და ამოდენა ვირგლას ტყე-ღრეში მოგყვებაო. მაშინ ფირუზამ ჯიუტად მიუგო, ვუყვარვარ და იმისათვის მომყვება, მეც მიყვარს და ცუდს რასა ვიქმთო. ხმა ჩაიწყვიტე, შე ცინგლიანო, შენაო! პირზე რძე არ შეგშრობია და სიყვარულზე ლაქლაქებ. ეგეც რომ არ იყოს, მაგაზე უკეთესი გოგო ვეღარ შეარჩიე, შე უნდილო, შენაო! ანდა ვისი იმედით აპირებ ცოლის შერთვასო. თუ დამიჯერებ, ისეთი გოგო შეგრთო, რომ თურაშაულის ვაშლივით უღაჟღაჟებდეს ლოყებიო. ქალსაც მართებს ღონე და სიძლიერე. აბა, ეს კატის კნუტი რის მაქნისია, ერთი რომ შეუბერო, მიწას გაერთხმევაო.

— მაშ, არ გახსოვს, ძია თედო?

თედოს პასუხი აღარ გაუცია, მერე მორიდებულად შეხედა გოგოს და დაბალი ხმით ჩაიბუტბუტა:

— რა ტყვიასავით მატაკე შუბლში, თებრონე... ეგრეა, ეგრე, გლეხკაცს ტვინი თუ არ ეღრძო, ჭკუას ვერ ისწავლის. ღმერთსა ვფიცავ, ციდან ჩამოსული ანგელოზი რომ ყოფილიყავ, იმაზეც უგრე ვიტყოდი, რა ვიცი, მგონი ეგრეა საჭირო. დრო იხელთე, შე ახტაჯანა. ვაიმე, ვაიმე, ეს რა ცეცხლი წამიკიდე, გოგო...

— სიტყვამ მოიტანა, ძია თედო, თორემა... ნუ გეწყინება. დედაჩემიც სულ თმით მათრევდა, იმ ხულიგანთან არ განახოო... ალბათ ასეა, ძია თედო, აკი შენცა თქვი.

— შენი ჭირიმე, შენი, თებრონე! — თედომ შვილივით ჩაიკრა გულში, — გვერდიდან აღარ მოგიშორებ, სულ ჩემთან იქნები. ამ ერთ ციცქნა გოგოს რამოდენა გული გქონია... დავიჯერო, სიკვდილისა არ გეშინია?

— რა ვიცი, ძია თედო, ხან მეშინია, ხან — არა. აი შენ რომ გიპოვე, ახლა თითქოს შემაკრთო ამ ტიალმა, ნეტავი მალე დამთავრდეს ომი, რა სიხარული იქნება, შინ სამივეს რომ გვნახავენ!

— იფრთხილე, გენაცვალოს თედო... რამოდენა ბოღმა ჩამიგდე გულში, გოგო, ნეტავი არც გამოჩენილიყავი. არა, არა, კარგად მოიქეცი... გესმის, ბიჭო ლავრენტი! — გადაულაპარაკა გვერდით მწოლიარე ჯარისკაცს.

— რა მოხდა, ძია თედო?

— გაიღვიძე, შვილო, საპატარძლო ვიპოვე, გესმის? ნახე, რა გოგოა, ჩემი ფირუზას საცოლეა, ბიჭო, გესმის?!

— თებრონე?! რას ამბობ, ძია თედო, რავა, ეს გოგო ახლა გაიცანი, თუ?! ამაზე ხომ მთელი ათასეული ლაპარაკობს, ტყვიების წვიმაში ქაჯივით დაძვრებაო... მართლა შენი საპატარძლოა?

— ვაიმე დედასა, მაშ დავბრმავდი? დავყრუვდი? რამ დამაბეჩავა, გოგო, მა შენზე ლაპარაკობდნენ, ერთი ციცქნა სანიტარი გვყავს, მაგრამ სიკვდილის რისხვააო?

ათასეული მშვიდად სუნთქავდა.

თედო და ქალიშვილი ახლა დაბალი ხმით ჩურჩულებდნენ. თვალზე რული არ ეკარებოდათ. რა არ გაიხსენეს. ალთასა და ბალთას მოედვნენ. ამ ათიოდე წუთის წინათ კი, ერთი წამით წაძინებას ნატრობდნენ. ბუნებაც მიწყნარებული იყო და დედამიწა ყუმბარების ზათქისაგან აღარ ზანზარებდა. მთებში ნისლი ჩამოწოლილიყო, ნისლი კი არა, დენთისა და ცეცხლმოდებული ხეებიდან აბოლებული კვამლის ბურუსი ეფინებოდა ფერდობებს. უეცრად ეს ვერაგი სიჩუმე გუნდ-გუნდად აფრენილი ყვავების ჩხავილმა დაარღვია. შავი ღრუბლებივით გადაევლნენ ველზე წამოწოლილ ათასეულს. ადრეც ამბობდნენ, დედამიწის ყოველი კუთხიდან ყვავები ფრონტზე გადმოიხვეწნენო. სიკვდილს ფეხდაფეხ დასდევდნენ ეს წყეულები.

— ძია თედო, შეხედე, ირემი! — აღფრთოვანებით შეჰყვირა ქალიშვილმა და ზეზე წამოხტა.

ძახილი მთელ ათასეულს მოეფინა.

ამწვანებულ სერზე კისერმოღერებული ირემი მოაბიჯებდა. იქვე, ტყიდან გამოსული ქორბუდა ფრთხილად და მოხდენილად ადგამდა ფეხებს. გასუსულ მიდამოს გაოცებით ზვერავდა, ალბათ უკვირდა, ასე უეცრად რა მოხდა. რად შეწყდა ქუხილი, ცისა და დედამიწის სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილიო? აბა, რა იცოდა იმ საბრალომ, რომ გაღმა და გამოღმა ასეულობით გატენილი ავტომატი ეყარა...

მედიდურად მოდიოდა კისერმოღერილი. ჩანდა ცეცხლმოდებული ტყიდან გამოქცეულიყო, რადგან რქებიდან კვამლი ასდიოდა. ზოგჯერ გააქნევდა თავს, მერე დაღუნავდა გრძელ კისერს და მწვანე ბალახს უხახუნებდა ხოლმე. გაზაფხულის ნოტიო ბალახმა რქები გაუგრილა. ახლა უფრო მშვიდად და უშიშრად გადმოდგა ფეხები, არა ჩქარობდა, მაგრამ ხანდახან შეჩერდებოდა და ყურებს შეშინებული აცქვეტდა, გაფიცხებული დრუნჩიდან ენა გადმოეგდო და მოწყურვებულ ტუჩებს წამდაუწუმ ილოკავდა.

ჯარისკაცებმა კისრები დაიგრძელეს, ძილის ბურანმა გაუარათ და გაბრწყინებული თვალებით შესცქეროდნენ ბუნების ამ მშვენებას. ირმის გამოჩენამ შიმშილის ავაზა დააფრთხო. აქა-იქ ავტომატებზე იტაცეს ხელი, მაგრამ სროლით კი არავის უსვრია. განა ამ ჯოჯოხეთურ გარემოში საკუთარი ხელით ჩაკლავდნენ წუთიერად გამოჩენილ მშვენიერებას?

...და მაინც გავარდა თოფი...

ათასეული შეშფოთებული წამოვარდა, •ავტომატებზე იტაცეს ხელი.

— წყეულები, ესროლეს!

ირემი შეტორტმანდა, მერე უკანა ფეხები ზანტად აითრია, ერთი უმწეოდ შეტრიალდა გაღმისაკენ და ჩაიჩოქა. მუცლით გაეკრა ბალახს და პირი ბიჭებისაკენ შემოაბრუნა.

პირუტყვს კისერი დაუვარდა ბალახზე.

თედომ შეშინებული თვალებით მიმოიხედა, თებრო იქ აღარა ჩანდა.

— თებრონე! — სასოწარკვეთით იღრიალა თედომ.

თებრონე ციცაბო ფერდობზე ქურციკივით გარბოდა. ქუდი მოხდოდა, გრძელი თმა ზურგზე ჩამოშლოდა და ისე გარბოდა ქალიშვილი. ის მაშინ იმ ირემივით ლამაზი და მომხიბლავი იყო.

თედომ თვალი მოჰკრა თებრონეს და თავზარდაცემული წამოვარდა ზეზე.

— თებრონევ, შვილო თებრონე! — შეშინებულმა თედომ ხელები გაასავსავა.

თებრონე უკან აღარ იხედებოდა.

ლავრენტიმ მაზარის ბოლოში წაატანა ხელი გაქცეულ თედოს.

— რას ჩადიხარ, ძია თედო. ვინ მოგცა მაგის უფლება... ფიქრი ნუ გაქვს, თებრონეს არ შეეშლება, იმას ვერავინ მოკლავს, შენ კი შეიძლება თავი წაგაცალონ. ნუ გავიწყდება, რომ ჯარისკაცი ხარ!



თედო გიჟი ხარივით იწევდა ფერდობისაკენ. ათეულის მეთაურმა დატუქსა.

— ვაიმე, შვილო! — მთელი ტანით აცახცახდა თედო. მჟიღისტოლა თვალები გაუხდა, ავტომატი ძირს დაუშვა და ერთ ადგილას რეტდასხმული ხარივით ბრუნავდა.

ყველა გაისუსა და გაინაბა. გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს ქალიშვილის თავგანწირვას.

თედო ციებამ შეიპყრო. ასეთი დაძაბუნება არასოდეს უგრძვნია, ვაიმე, საპატარძლო არ მომიკლანო და მკერდზე ხელს იბაგუნებდა. მაინც როგორ გამისხლტა გოგო გვერდიდანო, ვეღარ ეპატიებინა თავის თავისთვის, ხელს შუბლზე ირტყამდა, გმინავდა და ბუტბუტებდა. როცა თებრონე დაჭრილ ირემს მიუახლოვდა, თედოსთან ერთად მთელი ათასეული წამოიშალა. ჯარისკაცებმა ავტომატები მოიმარჯვეს.

თებრონემ ტაში შემოჰკრა, ბიჭებს ანიშნა, ცოცხალიაო. მერე საბრალო ნადირს მიუალერსა და ჭრილობას მიუტრიალდა.

ბარძაყიდან სისხლი სდიოდა. სანიტარული ჩანთა გახსნა, სასწრაფოდ ამოალაგა სპირტი, იოდი, ბამბა, მოსწმინდა, მოუსუფთავა ჭრილობა, მერე ბამბა დაადო და შეხვევას შეუდგა. ზოგჯერ ხელს ალერსიანად უსვამდა აქოშინებულ ფერდებზე და ამშვიდებდა — ნუ გეშინია, გადარჩები, ქვევით წაგიყვან და სულ კარგად იქნებიო.

თებრონემ შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და ელდანაცემი თვალები ერთ წერტილს შეაყინა. მის წინ ავტომატმომარჯვებული გერმანელი იდგა. თებრონე შეშინებული თვალებით უცქერდა ახმახ გერმანელს და ამ ცქერაში გოგო ერთიანად გაქვავდა.

თედოს თავში რაღაცამ გაუსუსუნა, შუბლი შეიჭმუხნა და თვალები ფართოდ გაახილა, ალბათ, მომეჩვენაო.

— არა, არა, მოჩვენება კი არა, ფაშისტია, ვაიმე, შვილო! — არავინ აღარ ახსოვდა თედოს, აღარც არაფრისა ეშინოდა, გააფთრებული გავარდა ფერდობისაკენ. გაშმაგებული მიიჩქაროდა, ფეხი უსხლტებოდა და მაინც მიბობღავდა, სწორედ მაშინ მუხლებმაც უმტყუნა. ალბათ თებრონეზე ფიქრმა შიშის ელდა დასცა და ერთიანად დაადუნა კაცი.

გერმანელი ყინულის ჯადოქარივით იდგა ფერდობზე. თებრონემ თვალი გერმანელის ავტომატს გააყოლა, მის ლულას ზარბაზანივით დაეღო პირი. ქალიშვილის წამიერმა ფიქრებმა სადღა არ გაიქროლეს: სოფელი, დედა, ფირუზა, ორღობე, ვენახის ბოლო... ეშმაკი კი ჯერ დუმდა... თათებში მომწყვდეული თაგვივით აწამებს ეს წყეული. თებრონე ხედავს, თუ როგორ შეჰყინია გერმანელის თითი რკინას.

— ისროლე, ისროლე, შე წყეულო! — განწირულად შესძახა თებრონემ და თვალები დახუჭა, ყველას გამოემშვიდობა... მერე ნელა გაახილა თვალები. ერთ ალაგას გაქვავებული გერმანელი გოროზად შესცქეროდა თმაგაწეწილ ქალიშვილს. გაოცებული თებრონე თვალს არ აშორებდა ჩახმახს. გერმანელის თითზე აშლილი ძარღვებიც კი შეამჩნია, მერე ისიც კარგად დაინახა, თუ როგორ მოშორდა იმისი გამხდარი თითი სიკვდილის ჩახმახს.

თებრონემ გაფაციცებით განაგრძო დაჭრილი ირმის შეხვევა.

საქმეს რომ მორჩა კვლავ გერმანელს შეხედა. შეხედა და გაოცდა ქალიშვილი — გერმანელს ავტომატი ძირს დაეხარა. თებრონემ ისიც შეამჩნია, რომ მტრის თვალები კეთილი ღიმილით შესცქეროდნენ მას. გათამამდა გოგო, ხელით ანიშნა — მომეხმარე, ირემი წამოვაყენოთო. გერმანელი მიუხვდა ქალიშვილს და ირემი სწრაფად წამოაყენეს, თებრონემ ათასეულისაკენ იბრუნა პირი და დაჭრილი ირემი ძლივძლივობით ჩამოათრია სამშვიდობოს. გერმანელი კი უკან შეტრიალდა, სწორედ მაშინ, გაცოფებული თედო თებრონეს გადაეხვია.

— ვაიმე, შვილო!

თედომ უკან გაბრუნებულ გერმანელს შეხედა და ავტომატი მოიმარჯვა.

— არ გაბედო, ძია თედო!

დაჭრილი ირემი სამშვიდობოზე გამოიყვანეს. და როცა გერმანელი სერზე შემოდგა... გავარდა თოფი (ჩანს თავისიანებმა ჩათვალეს მოღალატედ და სასიკვდილო განაჩენიც გამოუტანეს).

ჯარისკაცმა მკერდზე იტაცა ხელი. ოდნავ შებარბაცდა, ათასეულისაკენ შემობრუნდა, გაიღიმა, მერე ზანტად ჩაიჩოქა და გაზაფხულის მწვანე ბალახით აბიბინებულ სერზე ნელ-ნელა ჩაიკეცა.



გიორგი გიგაური

თვალწარმტაცი ფერებია
და ღიმილი გათენების,
ქუჩებს თავზე ევლებიან
ქრიზანთემის ფანტელები.

მოდის,
მოქუხს,
მმატებს იმედს,
მოირწევა,
მოშრიალებს,
მონანავე,
მოზეიმე,
მზის და მიწის მოტრფიალე —

ერთი რაზმი,
ორი რაზმი,
რაზმი ხუთი,
რაზმი ათი...
ამ სიცოცხლის ხმა და აზრი,
ამ მნათობთა ათინათი.

წარმატებით დადაფნული,
ასვეტილი გამარჯვებად,
ყვავილნარი გაზაფხულის,
შემოდგომის დამარჯნება.

მომავალი თბილი მიწის,
ტკბილთა დღეთა მომრავლება,
აღტაცებით ასაკინძი
ლექსებად და რომანებად.

სინარნარე,
სიჭაბუკე,
სიმტკიცეც და განაზებაც
ლაღად მისდევს კლდეთა კიდეს,
რომ აქციოს შარაგზებად!..

რა ლამაზი ფერებია,
მთვარისა თუ მზის ფერები;
მამულს თავზე ევლებიან
საზეიმო სიმღერები.

„კომუნისტებისაგან ვიღებთ მაგალითს"

# ჯოხა გილოცავთ
# ცისფერი გზები

„... ირგვლივ კი იყო მხოლოდ ქარი, ქვიშა და ვარსკვლავები..."

ანტუან დე სენტ ეგზიუპერი



შტურვალთან, მორიგი გაფრენის წინ.

მირონ ხერგიანი

— ადამიანთა თვისებაა — მამაცთა შორის უმამაცესებს გამოარჩევენ და მათს ვაჟკაცობას სამაგალითოდ გაიხდიან ცხოვრებაში. და ოცნებაც აქედან იწყება ალბათ. და ოცნებობენ...

ალექსანდრე ხუნძაყიშვილი, მფრინავის სამხრეებიანი კაცი, წუთით ჩუმდება, ალბათ შემდგომად სათქმელ აზრს დასტრიალებს თავს, ხვეწს გონებაში. მზერა გარეთ გაურბის, სადაც კორპუსებს მაღლა ცისფრად მოლივლივე ზეცა განაბულა.

ერთხანს გარინდებული შესცქერის ცის ნაგლეჯს, ისევე როგორც მკითხველი რომელიღაც წიგნის ფურცელს, თითქოს უჩინარი, მაგრამ მისთვის საცნაური სტრიქონების ამოკითხვას ლამობსო... მერე საუბარს აგრძელებს:

— მეტადრე ბავშვები. მოგეხსენებათ, რა უცნაური ხალხია ისინი...

იცით, ალბათ, თბილისის სამხრეთით, სულ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, გორებს შორის გაშლილია სოფელი კუმისი. სკოლიდან დაბრუნებულებმა ერთ დღეს უეცრად ვიგრძენით სიხალვათე და სიცარიელე. უცნაური გრძნობაა — აქ, ამ ორღობეში გვხვდებოდნენ ადამიანები, უცნობნი თუ ნაცნობნი. აგვხედავ-ჩაგვხედავდნენ, თვალს გამოგვაყოლებდნენ, ერთ-ორ სიტყვას გვეტყოდნენ. მაშინ, შეიძლება ყურადღებასაც არ ვაქცევდით ამას, მაგრამ ერთ დღეს თითქმის ერთბაშად დაიცალა სოფელი. მამაკაცები ომში წავიდნენ... სკოლიდან დაბრუნებულებს ჩამკვდარი ორღო-



ბეები, მოწყენილი ეზოები და თითო-ოროლა მოხუციღა მოგვაცილებდა... მართლაც, რა უცნაური გრძნობა იყო — სენტ ეგზიუპერმა ამ გრძნობას „უმნიშვნელოვანესი და მთავარი“ უწოდა, დიახ მაშინ მივხვდი, თურმე მთავარი ცხოვრებაში ადამიანთა ურთიერთობა ყოფილა... და თურმე ამ ურთიერთობის გარეშე არ არსებობს რაიმე ღირებული და საყურადღებო...

ჰოდა, ასე, ვაჟკაცები წავიდნენ, მაგრამ სოფელი დარჩა, სოფელი თავისი ყოველდღიურობითა და საფიქრალით, საზრუნავ-სადარდებლით, სახნავ-სათესითა და ველ-მინდვრებით, გაზაფხულითა და ზაფხულით, შემოდგომა-ზამთრით; სოფელი თავისთავად არაფრის მაქნისია, თუ იქ „ვეფხისდარი ვოჟები“ არ იზრდებიან. ყველაფერი ისე უცბად მოხდა, უკან მოხედვაც კი ვერ მოვასწარით, წასულთა, უფროსთა, მუხლმაგართა და გამოწრთობილთა, მცოდნეთა და შეჩვეულთა საზრუნავ-საკეთებელი ჩვენზე გადმოვიდა, ჩვენზე, ღინღლიანებსა და ახალბედებზე...

ნათქვამია, „გაჭირვება და ვაჟკაცეაო“... ჰოდა, ჩვენც „გავიქეცით“, გავიქეცით მაგრამ რას გავიქეცით... ამას, რა თქმა უნდა, თავის მოსაწონებლად როდი ვამბობ — მაშინ ყველა „გარბოდა“, უფრო სწორად, ჩვენფერანი მთელი ქვეყნის მასშტაბით საგმირო საქმეებს მოიმოქმედებდნენ, და განა ერთეულები, ათეულები და ათასეულები... ის კი არა, ომშიც იბრძოდნენ ჩვენი ტოლები, გმირულად დაიღუპნენ, თავი შესწირეს სამშობლოს. ჩვენ კი აქ, ზურგში უნდა გვევაჟკაცა...

მაგრამ, როგორც თავში აღვნიშნე, ოცნებისა და ფიქრის გარეშე აბა რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, და მით უფრო, რა იქნებოდა ბავშვობა... და როცა გვიან ღამე შრომასაც მოვრჩებოდით და გაკვეთილებსაც დავუტრიალდებოდით, საწოლში ჩათბუნებულნი ჩვენ ჩვენთვის ვფიქრობდით და ვოცნებობდით ათასგვარ რამეზე. არ ვიცი, ვინ — რაზე, მაგრამ, დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, მე და ჩემი სკოლის ამხანაგები — ბეგლარ ვასაშვილი და ვასილ მაისურაძე ერთი საფიქრალით, ერთი საიდუმლო აზრით ვიყავით შეკავშირებული.

ახლავე აგიხსნით ყველაფერს...

ბედი თუ იყო, სამგზავრო თვითმფრინავები თბილისიდან ახალციხეში კუმისზე გავლით დაფრინავდნენ, მათი ძრავების გუგუნი ახლად დამთავრებული ომის სურათებს წარმოსახავდნენ ჩვენში. ჭიჭიკო ბენდელიანზე პოეტის სტრიქონები ცოცხლდებოდა მეხსიერებაში — „ვარსკვლავებს მოსწყდა ვარსკვლავი“... ჩეჩელაშვილმა მტრის განლაგებას დაუპირდაპირა განწირული თვითმფრინავი... რატომღაც ყველაზე უფრო მაინც ცის რაინდთა ამბავი გვაინტერესებდა და გვაღელვებდა. და აი ახლა ჩვენს ცაზეც გამოჩნდნენ თვითმფრინავები და ის განცდილი ასოციაციები, რასაც აქამდე ჩვენი გონება მხოლოდღა წარმოსახავდა, უფრო საცნაურნი და ხელშესახებნი გახდნენ...

იყო კიდევ სხვა გარემოება — ვგრძნობდი, მფრინავობაზე ფიქრი ერთგვარად მშველოდა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეგ რანაირადო, იტყვის, ალბათ, ზოგიერთი. სინამდვილეში კი შესაძლოა მასაც განეცადოს ოდესმე მსგავსი გრძნობა, განეცადოს ქვეშეცნეულად, გაუთვითცნობიერებლად. სხვანაირად შეუძლებელიც არის, როგორც თავში ვთქვი, ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში, ურთიერთობაში, საქმიანობაში ადამიანების სხვადასხვა მაგალითით ვხელმძღვანელობთ-მეთქი, რეალური თუ ირეალური გმირების ნაკვალევს მივდევთ ყველანი, ისევე, როგორც აჩაჩა მიკვნესის სათავისო გზაშარაზე და იქიდან ბილიკზე ვერ გადაუხვევს, ჩვენც ჩვენი სულიერი კერპების ნაკვალევს მივყვებით, შორიდან მათი ხმა ჩაგვესმის, მათი შეგულიანება გაჭირვების ჟამს, მათი მხარში დგომა და საყვედურიც, როცა შიშის გრძნობა დაგვთრგუნავს ხოლმე.

მე პირადად ასე მესმოდა ეგ ამბავი — გაჭირვების ჟამს ცად მოგუგუნე თვითმფრინავის შოფერი წარმომიდგებოდა უეცრად თვალწინ — მისი „საქმენი საგმირონი“. მართლაც, იგი ხომ ყოველწლიურად ებრძოდა საფრთხეს, ესე იგი მიდიოდა რისკზე, ომი უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ მისი ბრძოლა გრძელდებოდა. ესე იგი გმირობას ჩადიოდა.

ეს ფიქრი სულიერად მაწრთობდა, მამაღლებდა.

ასე იყო. წლები კი ვიდოდნენ. ოცნება ოცნებად რჩებოდა. მართლაც რაღაა ოცნება, თუ ვეღარასოდეს ვერ განახორციელა ადამიანმა? მეშინოდა, ვაი თუ ამდენი ნაფიქრნაწვალევი წყალში ჩამეყაროს-მეთქი. დამამთავრებელ კლასში ხანდახან ეს შიში დარდებს შემომისევდა, ნაღველს მომიმატებდა. არადა კუმისის ცაზე კვლავ გუგუნებდნენ თბილისიდან სამხრეთისაკენ მიმქროლავი ლაინერები და კვლავინდებურად აღმავსებდნენ ხოლმე სიხარულით, შიშითა და მღელვარებით. ამ გრძნობათა ნაზავთი ილექებოდა სულში და მერმე ოცნებებად აიშლებოდა ისევ.

მაგრამ...

საშუალო სკოლის დამთავრებამდე რაღაც თვეები რჩებოდა. მე კი ვდარდობდი, რანაირად უნდა მომეგბა თავი გულისნადებისათვის, და ვერაფერი ვერ მომეფიქრებინა, მაშინ ამდენი სასწავლებლები სად იყო, ახლა როა, და არც ის იცოდა ვინმემ კუმისში, სად შეიძლებოდა ყოფილიყო საავიაციო სკოლა, ინსტიტუტი და რა იყო ამისთვის საჭირო.

რაღაც თვეები რჩებოდა-მეთქი, იმას ვამბობდი... აი, გამოცდებიც დაიწყო.

ჩავაბარეთ ერთი გამოცდა, მერე — მეორე, მესამე... ბოლო გამოცდა.

ჩვენ ჟრიამულით გამოვიშალეთ სკოლის ეზოში. უკვე დიდები ვართ. თითქოს ყველამ მივაგენით საჩვენო

გზას. ყოველ შემთხვევაში, მოვინიშნეთ იგი. ახალი ხანა იწყებოდა, დამოუკიდებელი ცხოვრების ჟამი. ამ ეზოდან გასულები ხვალ-ზეგიდან უკვე გავიფანტებოდით ვრცელი ქვეყნის არემარეზე.

და უცბად ჩვენი დირექტორი, გიორგი ზაალიშვილი (სხვათა შორის ამდენი წლების მერმე იგი ახლაც დირექტორია იმავე სკოლაში), ჩვენი საყვარელი ადამიანი მოგვიხმობს უკან. იგი თავისი კაბინეტიდან იხედება, ვიღაც უცხო, სამხედრო ფორმაში ჩაცმული მაიორი დგას მასთან.

და იცით, რა მოხდა?

მაიორმა თქვა: — იქნებ შემთხვევით რომელიმე თქვენგანს სურვილი აღმოაჩნდეს საფრენოსნო სასწავლებელში სწავლისაო, ჰოდა, იმათ შეუძლიათ სიაში ჩაეწერონო...

თითქოს ცა გაიხსნაო.

ჩემს წინაშე ნანატრი სივრცე გადაიშალა.

ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში ხდება სასწაულები. ჩემთვის კი იმ მაიორის გამოცხადება იყო იგი. და ის სასწაული და ჩემი დირექტორისა და მშობლების დასაგზლება შორ გზაზე დღესაც სათუთად განაბულა სულის კუნჭულში. იმ წამში დაიწყო ჩემი ქროლვა ცისიერ გზებზე, ქროლვა, რომელიც უკვე რამდენი წელიწადია წუთითაც არ შეჩერებულა. ჯერ იყო სამხედრო თვითმფრინავები, მერმე სამოქალაქო! ათკაციან „ან-2“-ით დაიწყო ეს უკანასკნელი ჩემთვის, ყველაზე პატარა თვითმფრინავით სამამულო ლაინერთა შორის და აი დღეს ყველაზე მძლავრსა და თანამედროვე მანქანაზე გრძელდება იგი.

და ის საგზალი, სკოლის ჭიშკართან ნაფეშქაშევი კიდევაც ბლომად გადამრჩენია. გამოულეველია იგი, სასწაულებრივი და ჯადოსნურია. იმ მანქანებივით სასწაულებრივი, ჩვენ რომ გვემორჩილებიან, აგვყვებ-დაგვყვებიან.

ვითარცა აქლემს წყლის მარაგი, არასოდეს დაილევა ის საგზალი, რადგანაც არ შეიძლება უმძლავრეს თვითმფრინავამდე მივიდეს კაცი და მერმე თავი გაანებოს ავიაციას, მყუდრო და უშფოთველ მიწიერ ცხოვრებაზე გაცვალოს იგი. ჭეშმარიტი მფრინავი არასოდეს მოიქცევა ასე.

ალექსანდრე წუთით წყვეტს საუბარს. შესაძლოა ეთაკილება თავის მომავალ გეგმებზე საუბარი და იმაზე ჩაფიქრდა...

თუმცა ჩემთვის ცნობილია, რომ ალექსანდრე უკვე ცამეტი წლის პენსიონერია. ცამეტი წლის პენსიონერი ეს 42 წლის, ჯან-ღონით აღსავსე კაცი? ყოვლად წარმოუდგენლად მეჩვენებოდა თავდაპირველად ეს ამბავი, მაგრამ რას იზამ, ავიაციას თავისი კანონები აქვს. აქ ნაფრენი საათებით ითვლიან კაცის წლოვანებას. ჰოდა, ალექსანდრე იმდენ ხანს იყო ცაში, რომ ცამეტი წლის წინათ შეასრულა საპენსიო ნორმა. ციფრების ენით რომ ვილაპარაკოთ, ალექსანდრე მიწიერ პროფესიას რომ მიჰყოლოდა, კიდევ თვრამეტი წელიწადი დასჭირდებოდა პენსიაში გასასვლელად, რადგანაც აქაური საპენსიო მინიმუმის თორმეტი წლის ნაცვლად ოცდახუთი წელიწადი უნდა ემუშავა. ავიაცია შედარებით ძნელი დარგი რომაა, ყველას მშვენივრად ესმის, და ამიტომაც ის შეღავათები, რაც მფრინავებისათვის არის დაშვებული, მართლაც ალალია მათთვის. და ყოველ მათგანს სრული მორალური უფლება აქვს ისარგებლოს ამ შეღავათებით და სტიქიასთან ამდენი ხნის ჭიდილის შემდეგ „ადამიანთა მიწაზე“ ჩამოხდეს და დაისვენოს, დაძაბული სამუშაო გრაფიკი ნელ სვლაზე გადართოს... ალექსანდრესაც ჰქონდა ამისი უფლება, მაგრამ...

— იცით, რა, აი, წეღან რომ ვამბობდი, მაიორი მოვიდა-მეთქი სკოლაში, მაშინ საქართველოდან ოცდახუთკაციანი ჯგუფი ჩაგვრიცხეს საფრენოსნო სასწავლებელში. დღეს კი იმ ოცდახუთიდან ორადორიღა შევრჩით ავიაციას. შესაძლოა მომავალ მფრინავებსაც ეხება ქართული ანდაზა — „ასჯერ გაზომე, ერთხელ გასჭერიო“, იმ დანარჩენმა ოცდასამმა კი, ეტყობა ასჯერ არ გაზომა, ჩვენ კი, ეტყობა, გავზომეთ. ჰოდა, რაკი გავზომეთ, ბარემ ბოლომდე უნდა ვუერთგულოთ კიდეც მას. ამიტომაც მშვიდ ცხოვრებაზე ფიქრი არასოდეს გამიელვებია გონებაში. და არა მარტო ამიტომ, მთავარი აქ ის არის, რომ იმ ბავშვობისდროინდელმა ოცნებებმა გაზაფხულის ზვირთებივით კი არ ჩაიარა, არამედ კვლავაც მოჩუხჩუხებენ და დგაფუნობენ, ტალღებად იქოჩრებიან სულსა და გონებაში. პირიქით, ოცნებებმა ფრთები შეისხა, კიდევ უფრო იმძლავრა...

და რადგანაც ადამიანებს არ შეუძლიათ უოცნებოდ, მე რაღა გამონაკლისი ვიქნები. ვერ მივატოვებ მანქანის შტურვალს და ცისიერ სიმაღლეებს, სადაც მუდამ კაშკაშა მზეა და ვარსკვლავები სულ ახლოს კიაფობენ, საიდანაც ღრუბლით დაბამბული დედამიწა სათუთად შეფუთვნილი სათამაშოსავით მოჩანს ხან გაბრწყინებული, ხანაც უკუნ სიბნელეში მთვლემარე. და იმ უმაღლეს და უდიადეს აზრს, რომ შენი მანქანის გუგუნი ვიღაცას გულზე ესალბუნება, ვიღაცას შველის, სიდიადესა და ვაჟკაცობას მატებს, წუწუნთან, ჩივილსა და სიბეჩავესთან, ყოველგვარ კაცთათვის დამამცირებელ უმსგავსოებასთან ბრძოლას ასწავლის, ადამიანებს მაღლა, ცისიერი სიმაღლეებისაკენ მოახედებს, ისევე, როგორც ეს ხდებოდა ადრე, ჩვენი ბავშვობისას...

მფრინავის ხელები, ვიდრე მათ ამისი განცდა შესწევთ, ძალუმად უნდა გრძნობდნენ შტურვალის სიმძიმეს...




ფოტო ვ. ბორისენკოსი.

გ ი ვ ი ძ ნ ე ლ ა ძ ე

## მაისის წვიმა

აგრგვინდა ზეცა. წამოვიდა ჟუჟუნა წვიმა...
მხურვალე მიწა გააძღო წყალით...
ესხურა ხესაც, დაეპკურა ბალახებს მძინარს, —
თხრილში ხითხითით გაიქცა ღვარი...
ცქრიალა გოგომ თეთრეული, ნახევრად მშრალი,
შემოიტანა საჩქაროდ სახლში...
წვიმდა და როგორ: წვიმა იყო ჟუჟუნა, წყნარი
და მოჟღურტულე, ვით ჩვილი ბავშვი...

იმედის შუქად ცისარტყელა აენთო ხევში, —
ბარტყივით ნაზი, ბარტყივით თბილი...
იწვიმა უხვად — მაისისათვის ჩვეული ეშხით;
გაძღა მიწა და მეორე დილით, —
სველ მიწას როცა სითბო მოხვდა — იფეთქა თესლმა,
ხეებზე ატყდა კვირტების სკდომა...
ყაყაჩომ მორცხვად გაიღიმა სხივების ქსელში —
ჰაერში შუქი დაგროვდა ბლომად...

ცქრიალა გოგომ გაიტანა სარეცხი გარეთ
და გადაკიდა ბაწარზე ხელად...
ბავშვის პერანგი — ვარდისფერი — ერია სარეცხს
და მზე აშრობდა პაწია პერანგს!..

## ქარაოა-ქარა ნაჯაფარი ხელები!..

ბერიკაცი ღობეს ღობავს,
გარს უვლიან ჭუჭულები...
გამოსულან სალაღობოდ
სოფლის აჭალ-ბუჭულები...

დიდება ცხელი სხივების ტკაცუნს, —
იმ ღობის გასწვრივ ნისლიან
ღელეს...
ჩემი საწყალი (ვგულისხმობ
წარსულს!)
საქართველოსთვის ნაჯაფარ
ხელებს!...

მახვილივით გულში მატანს
რკინის ფლოქვთა თქარათქური...
ცას უღმერთოდ ფხაჭნის ანძა —
უგუგუნებს ქალაქს გული!...

აგურს აგურზე ცქაფად რომ
აწყობს, —
თაყვანისცემა მომავლის მშენებს —
ზეაღმავალი (ვგულისხმობ აწმყოს)
საქართველოსთვის ნაჯაფარ
ხელებს!...

კაცთა ყოფას ალამაზებს
ახალ დღეთა მჩქეფარება...
რაღაც ხდება ქვეყანაზე —
გულს რაღაცა ეჩქარება!..

ვაშა და ვაშა! ხოტბა და ქება! —
საშვილიშვილო ნერგების
მრგველებს, —
გამარჯვებული (მომავალს ვხედავ)
საქართველოსთვის ნაჯაფარ
ხელებს!.

*

წამიღებს ფიქრი
და ძველ წისქვილთან
ხელს
ბრტყელი ქვის ქვეშ
შემაყოფინებს...
— ვის გინდათ ღორჯო,
ღორჯო ვის გინდათ! —
ქვეყნიერებას
შევატყობინებ...

ასეთი წამი
მინათებს ზოგჯერ
ღამეში
მთვარის
აღმობრწყინებად!..
მაშ, გაუმარჯოს
ყველაფრის მომცველ
მეხსიერების
აღორძინებას!..

# კოსმოსი
# ადამიანი

## უსასრულო კოსმოსის მოდელები

კოსმოსი იგივეა, რაც სამყარო, ანუ ჩვენს გარშემო რეალურად არსებული მატერიალური გარემო (სხეულები, ნივთიერი ნაწილაკები, ველები...), რასაც თანდათანობით ვეცნობით მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების შედეგად. ოთხი საუკუნის წინათ, როცა დედამიწის ზედაპირი და ცის მნათობები არ იყო კარგად შესწავლილი, დედამიწა ეგონათ კოსმოსის ძირითადი ნაწილი, ხოლო ციური მნათობები — ყველანი ერთად აღებული, თითქოს დედამიწაზე უფრო მცირე. შემდეგ გამოირკვა, რომ დედამიწაზე ბევრად დიდი ზომისა და დიდი მასის სხეული უამრავია კოსმოსურ სივრცეში. მაგალითად, მზის დიამეტრი 109-ჯერ მეტია დედამიწის დიამეტრზე. ზოგი ვარსკვლავი მზეზე ბევრად უფრო დიდია.

დედამიწისა და ციურ სხეულთა ბუმბერაზობაზე ზოგადი წარმოდგენისათვის სარგებლობენ მოდელირების მეთოდით: კოსმოსურ სხეულებს და მათ შორის მანძილებს წარმოიდგენენ შემცირებული სახით. შემცირების ხარისხს განსაზღვრავს მოდელის მასშტაბი. მაგალითად, დედამიწის ფორმასა და სიდიდეზე წარმოდგენის გაადვილების

მიზნით დამზადებულია სხვადასხვა ზომის გლობუსები, რომლებიც დედამიწის მოდელებს წარმოადგენს.

სკოლებში უფრო ხშირად იხმარება ისეთი გლობუსი, რომლის დიამეტრი დაახლოებით 25,5 სანტიმეტრია. ასეთი გლობუსი წარმოადგენს 50 მილიონჯერ შემცირებულ დედამიწის მოდელს. ამ გლობუსზე ქ. თბილისს, სადაც მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, შეესაბამება წერტილი, რომლის დიამეტრი მილიმეტრზე ნაკლები იქნება.




წარმოვიდგინოთ მილიარდჯერ შემცირებული კოსმოსი (1 მოდელი), ე. ი კოსმოსის ყოველ ორ წერტილს შორის არსებული მანძილი შემცირდა 1.000.000.000-ჯერ. ასეთი მოდელის წერტილებს შორის არსებული მანძილების ყოველ მილიმეტრს სინამდვილეში შეესაბამება მილიარდი მილიმეტრი, ანუ 1.000 კილომეტრი. მაგალითად, დედამიწის დიამეტრი დაახლოებით 13 ათასი კილომეტრია, რომელსაც 1 მოდელზე შეესაბამება 13 მილიმეტრი. თბილისიდან მოსკოვამდე პირდაპირი მანძილი 1.800 კილომეტრამდეა. შესაბამისი მანძილი იქნება 2 მილიმეტრზე ნაკლები. დედამიწიდან უახლოესი კოსმოსური სხეულია მთვარე, რომლის დიამეტრი 4-ჯერ ნაკლებია დედამიწის დიამეტრზე. 1 მოდელზე მთვარე გამოსახულია მცირე წრით, რომლის დიამეტრი ოდნავ აღემატება 3 მილიმეტრს.

მთვარე უვლის დედამიწას გარშემო და ორივენი მზის ირგვლივ მოძრაობენ. მზის ირგვლივ მოძრაობს აგრეთვე დედამიწის მსგავსი სხვა სხეულებიც, რომლებსაც პლანეტებს უწოდებენ. მზიდან ყველაზე შორს არის პლანეტა პლუტონი, რომელიც 6 მილიარდი კილომეტრით არის დაშორებული მზისაგან. მზის სხივი ამ მანძილის გავლას ანდომებს 6 საათს. მზესა და მის გარშემო მოძრავ სხეულებს უწოდებენ მზის სისტემას (II მოდელი) მზის სისტემიდან ძალზე შორს არიან ვარსკვლავები. ყოველი ვარსკვლავი მზესავით დიდი გავარვარებული სფერული ფორმის სხეულია. ზოგი მათგანი ბევრად აღემატება მზეს, მაგრამ ისინი მცირე წერტილებად მოჩანან სიშორის გამო.

ვარსკვლავებამდე მანძილის გამოსახვა კილომეტრებით უხერხულია, ძალზე დიდ რიცხვებს ვიღებთ, ამიტომ შემოღებულია უფრო გრძელი ერთეულები. ერთ-ერთ ასეთ ერთეულს სინათლის წელიწადს უწოდებენ. ეს არის მანძილი, რომელსაც სინათლის სხივი გაირბენს ერთ წელიწადში (წამში იგი 300 000 კილომეტრს გადის). 1 სინათლის წელიწადი დაახლოებით 10.000 მილიარდ ($10^{13}$) კილომეტრს უდრის.

კოსმოსის III მოდელზე მზის სისტემას შეესაბამება წერტილი, რომლის დიამეტრი მილიმეტრის მეასედია. მაშასადამე, ამ მოდელში დედამიწის შესაბამისი წერტილი მიკროსკოპითაც კი უხილავი იქნება.

უიარაღო თვალით ცაზე 7.000-მდე ვარსკვლავის დანახვა შეიძლება. ესენია






# როგორია კოსმოსის შორეული უხილავი ნაწილი?..

უახლოესი ვარსკვლავები, უფრო შორეული ვარსკვლავები კი ტელესკოპით მოჩანს. თანამედროვე ძლიერი ტელესკოპით შეიძლება დავაკვირდეთ ისეთ შო-




რეულ ვარსკვლავთა ჯგუფებს, რომლებიც რამდენიმე მილიარდი სინათლის წლით არიან დაშორებული ჩვენგან.




უკანასკნელ ათეულ წლებში დასაბუთდა, რომ ვარსკვლავები სივრცეში არათანაბრად არიან განლაგებული. ისინი შეჯგუფული არიან ცალკეულ გროვებად უსაზღვრო კოსმოსურ სივრცეში. ერთ-ერთ გროვაში ვიმყოფებით ჩვენც. ამ გროვას გალაქტიკას უწოდებენ (IV მოდელი). გალაქტიკაში 100 მილიარდზე მეტი ვარსკვლავია, მათ შორის ერთ-ერთი ჩვენი მზეა. ეს ვარსკვლავები განუწყვეტლივ მოძრაობს. მზე თავისი პლანეტებით მოძრაობს გალაქტიკის ცენტრის ირგვლივ.

ჩვენი გალაქტიკის გარე სივრცეს უწოდებენ მეტაგალაქტიკურ სივრცეს. ამ სივრცეში მოძრაობენ ისეთ ვარსკვლავთა გროვები, როგორიც ჩვენი გალაქტიკაა. მათ აგრეთვე უწოდებენ გალაქტიკებს. ამჟამად ცნობილია რამდენიმე მილიარდი გალაქტიკა. თანამედროვე ძლიერი ტელესკოპებით მოჩანს 6-8 მილიარდი სინათლის წლის მანძილზე არსებული გალაქტიკები.

უძველესი დროიდან მოყოლებული, ჩვენი ცოდნა კოსმოსის შესახებ თანდათანობით მატულობს: კოსმოსის შესწავლილი ნაწილი ფართოვდება. ამ მხრივ კვლევა-ძიებას და უფრო შორეული ობიექტების აღმოჩენას დასასრული არ უჩანს. მეხუთე მოდელზე გამოსახულია კოსმოსის ის ნაწილი, რომელსაც ვხედავთ თანამედროვე ძლიერი ტელესკოპებით. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების შედეგად უახლოეს მომავალში შესაძლებელი იქნება უფრო შორეული ობიექტების დანახვა.

ყველაზე გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, კოსმოსის უხილავი ნაწილი წააგავს ხილულ ნაწილს. ალბათ იქაც ისეთივე დიდი სხეულები და სხეულთა სისტემებია, როგორიც ხილულ ნაწილში. მაგალითად, კოსმოსის V მოდელის ერთ კილომეტრზე მდებარე წერტილის შესაბამ არეში, ალბათ ისეთივე გალაქტიკებია, როგორიც არის ჩვენი გალაქტიკა. უნდა ვივარაუდოთ, რომ იქაც ისეთივე გრანდიოზული მოვლენები მიმდინარეობს, როგორსაც ვხედავთ კოსმოსის ხილულ ნაწილში.

აქვს თუ არა კოსმოსს საზღვარი?

არა, კოსმოსი უსაზღვრო და უსასრულოა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს გარშემო არსებულ კოსმოსს არა აქვს დასასრული არც წინ, არც უკან, არც ზევით, არც ქვევით, არც მარჯვნივ, არც მარცხნივ, თუ აზრით გავყვებით ჩვენგან მიმავალ რომელსამე სხივს და ვივლით დაუსრულებლად, მაშინ კოსმოსის ახალ და ახალ ობიექტებს ვიხილავთ და განმეორება არ მოხდება.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კოსმოსის უსაზღვრო სივრცეში შესაძლოა უფრო გრანდიოზული მოვლენები მიმდინარეობდეს, ვიდრე ჩვენთვის ცნობილი კოსმოსური მოვლენებია.

აქ წარმოდგენილი მოდელების მიხედვით კოსმოსის ხილული ნაწილი თითქოს „მცირდება". ამის მიზეზია მასშტაბის ცვლილება. მაგალითად, V მოდელის მიხედვით კოსმოსის ხილული ნაწილის ყველაზე შორეული ობიექტების შესაბამისი წერტილები იმყოფება 10 სანტიმეტრზე უფრო ახლოს. ხოლო ამ მოდელის უფრო შორეულ წერტილებს, ვთქვათ, რამდენიმე ასეულ და ათასეულ კილომეტრის იქით მდებარე წერტილებს შეესაბამება რეალური კოსმოსის უხილავი ობიექტები. მაშასადამე, უსასრულო კოსმოსის ყოველგვარი შემცირებული მოდელი აგრეთვე უსასრულოა.

დოც. ა. ფურცხვანიძე.

# პეტია, მე და ატომები

ვაცლავ კოვალი

მხატვარი
ზ. ფორჩხიძე.

## ერთ კვირა დღეს

მე და ჩემი დისწული პეტია პრაღაში ვცხოვრობთ. თითქმის მეზობლად. პეტია შემოდგომაზე მეექვსე კლასში წავა. ჩვენ დიდი მეგობრები ვართ და ზაფხულობით ძალიან ხშირად დავდივართ სასეირნოდ ქალაქგარეთ.

ლამაზია პრაღის შემოგარენი. თუმცა, უნდა გამოგიტყდეთ, ამ ბოლო დროს, ძველებურად აღარ მომწონს, ჩემი აზრით, მეტისმეტად მთაგორიანია. გაგიკვირდათ, რად შემძულდა მთა-გორები? რად და, რომ ვსეირნობთ, შეგვხვდება თუ არა ბორცვი, პეტია დაადებს თავს და მიძვრება. ზოგჯერ გორაკს მშვენიერი გზა მიუყვება, მაგრამ გზას ვინ დაგიდევთ, მიძვრება სწორედ იქ, სადაც ბილიკიც არა ჩანს. მეც, თავი რომ არ შევირცხვინო, მივყვები უკან მორჩილად. თანაც ისეთი ცნობისმოყვარეა, კითხვას კითხვაზე მაყრის. მეტი რა ჩარაა, უნდა ვუპასუხო. უმეტესად ტექნიკა აინტერესებს.

ერთ კვირა დღეს, აგვისტოს ბოლოს, სწავლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, პეტიამ ჩემი კარი შემოაღო. ფანჯარაში გავიხედე, — იქნებ ბედად წვიმს-მეთქი. სამწუხაროდ, აგვისტოს მზიანი დილა იდგა.

რაკი პეტია ჩემთან კვირას მობრძანდა, ისიც კარგ ამინდში, დილით, ვიცოდი, უეჭველად გამიყოლებდა ქალაქგარეთ სასეირნოდ.

მე კი ამ კვირადილით შინ დარჩენას ვაპირებდი, ერთი საინტერესო სამეცნიერო წიგნი უნდა წამეკითხა. გეგმა ჩამეშალა!

— შეხედე, ძია, — მითხრა პეტიამ, — მოცვისთვის რა კარგი ჭურჭელი ვიშოვე, — მეაცე კიტრის მოზრდილი ქილა მიჩვენა, — სოკოებისთვის კი აი რა წამოვიღე, — პეტიამ მამისეულ ვეებერთელა ჩანთას მოხსნა პირი.

შევწუხდი, — ვინ უნდა აავსოს სოკოებითა და მოცვით ამოდენა ჭურჭელი-მეთქი. დისწულს ფრთხილად შევეკითხე:

— შეძლებ ამდენი სოკოს შეგროვებას? ;

— მე?! — გაიოცა პეტიამ. — დედამ თქვა, ბიძაშენი შეაგროვებსო. მისთვის მოძრაობა სასარგებლოაო.

— ბიძაშენიო? მე დახრა არ შემიძლია, ეს ჩემთვის მავნეა. დედამ ეს არ იცის?.. გარდა ამისა, სოკოებისა არაფერი მესმის, არცა ვჭამ...

— თუ ასეა, — დამამშვიდა პეტიამ, — შენ ჩემი მებარგული იქნები.

— ესღა მაკლდა! კვირა დღეს პრაღის მორთულ-მოკაზმულ ქუჩებში რაღაც შუშა და ძველი ჩანთა ვათრიო.

მე და ჩემმა ღმერთმა, კარგი გართობა მელოდა! ერთი იმედიღა მრჩებოდა: სოკოსა და კენკერის მრავალრიცხოვანი მოყვარული დილით ადრე გაუდგებოდა ქალაქგარეთ გზას და არაფერს დაგვიტოვებდა. მაშინ ქილას გავტეხ, ხოლო ჩანთას მივკარგავ-მეთქი, — გავიფიქრე.

მაშ ასე, ჩვენ მივემგზავრებით, მივდივართ ზბრასლავაში. აბა, მაშინ რას ვიფიქრებდი, თუ სოკოებისა და მოცვის კრეფისას გაბრაზებულ მეტყევეს გადავეყრებოდი და უწყინარი გასეირნება ჩაგვშხამდებოდა.

გულთმისანი რომ ვყოფილიყავი, ამ დღეს შინ დავრჩებოდი.

## ქალაქგარეთ

შინიდან წიგნი წამოვიღე. სქელტანიანი იყო, ჯიბეში ვერ ჩავიტენე. გავბრაზდი, თუმცა რა იყო გასაბრაზებელი!..

მოვიდა გამოტენილი ავტობუსი, ხალხი მაინც მიესია, ეტენებოდნენ და ეტენებოდნენ, ერთიმეორეს ხელს ჰკრავდნენ. ავიდოდნენ თუ არა, საფეხურზე დგებოდნენ, წინ არ წაიწევდნენ, სულ არ ადარდებდათ, თუ ვინმე მათი დაუდევრობით ავტობუსს ჩამორჩებოდა.

მე და პეტიაც კინაღამ დავრჩით, მაგრამ ჩვენ გვიხსნა... წიგნმა, დიახ, წიგნმა: ჩემ სამეცნიერო წიგნს მაგარი ყდა და შუბივით მახვილი ძგიდეები ჰქონდა. ამ „ცივმა იარაღმა“ მგზავრები შეავიწროვა და ჩვენც გავემგზავრეთ. ახლოს არავინ მეკარებოდა. ხალხი შემჭიდროვდა და იმდენი ამოვიდა, ბევრისმნახველ მოხუც კონდუქტორსაც კი გაუკვირდა. ქილაში მიჯრით ჩაწყობილ თევზებს მაგონებთო, თქვა მან, ზბრასლავაში რომ ჩავდიოდით.

ასეთი მგზავრობით დაღლილ-დაქანცულმა კაფეში გავლა მოვინდომე, ცოტა წავიხემსოთ და ცივი სასმელი დავაყოლოთ-მეთქი. პეტიამ არა ქნა, ვიაროთ წინ, მოცვისა და სოკოების საძებნელადო. როგორ ვინანე, ავტობუსში რომ არ გავტეხე ქილა და არ დავკარგე ჩანთა.

პირველი ბორცვის ფერდობი ძალზე ციცაბო აღმოჩნდა. ჩვენ თხემზე . ავდიოდით. ფერდობი სულ მთლად ეკლიან ბუჩქებს გადაებურდა, ქვაღორღი ბლომად ეყარა.

პეტიას მცოდნე კაცივით ვარწმუნებდი, თუ კენკრა და სოკო მთის ძირას არ ხარობს (მე ეს ზუსტად დავადგინე), მით უმეტეს, არ იქნება ბორცვის თხემზე. ამიტომ სჯობია, ძირს დავრჩეთ და მწვანეზე წამოვწვეთ-მეთქი.

ხმამაღლა ვლაპარაკობდი, მერე ვინანე, მაგრამ რაღა დროს! მკრეფავები ჩამოდიოდნენ, ჩემი ნათქვამი გაიგონეს და გამოგვესაუბრნენ, თავიც მოიწონეს:

— რას ამბობთ, მაღლა იმდენი მოცვია! სოკო კიდევ მეტი, ნახეთ — მთელი ჩანთა მოვაგროვეთ.

მწარედ გამეღიმა, ჩრდილსა და რბილ მდელოს ოხვრით გამოვეთხოვე. თუმცა, გამოგიტყდებით, სადღაც, გულის კუნჭულში კიდევ მრჩებოდა იმედი, იქნებ პეტიამ მე უფრო დამიჯეროს-მეთქი.

საუბედუროდ, ზემოდან გაისმა პეტიას ხმა:

— სადა ხარ, ძია, არ მოდიხარ?

ბორცვზე ავცოცდი. ღმერთო ჩემო, ეს რა ჯოჯოხეთური ზეასვლა იყო! თითქმის შვეულ ფერდობს მივყვებოდი. ხის ფესვები დაუნდობლად მერჭობოდა ხელებსა და ფეხებში, თავზე ხვინჭა მეყრებოდა, თანაც წიგნი მიშლიდა ხელს. ილაჯი გამიწყდა, ტუჩები გამიშრა, ზურგი მეტკინა. ფერდობს კი ბოლო არ უჩანდა.

უცებ ფეხქვეშ ნიადაგი გამომეცალა. ბუჩქს ვტაცე ხელი, მაგრამ ყვირილით ხელი გავუშვი, ბუჩქი მწარედ იჩხვლიტებოდა. ნელ-ნელა ძირს ვეშვებოდი. როგორ მოვიქცე? მარჯვნივ ფესვი შევნიშნე, შორს იყო, მაგრამ გააფთრებით გავიწიე, გავიქნიე ხელი და მივწვდი. როგორც კი გადამრჩენელ ფესვს ჩავეჭიდე, წიგნი ხელიდან გამივარდა და ძირს ჩაფრინდა.

„ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს ასეთ სეირნობას“, — გავიფიქრე.

როგორც იქნა, ავბობღდი თხემზე და დაღლილ-დაქანცული დასასვენებლად მივეგდე.

— ძია, მოცვში ჩაწექი? — დაიყვირა პეტიამ. უცებ



ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა, გონს რომ მოვედი, გველნაკბენივით წამოვვარდი.

— ჩემი კოსტიუმი! — ამოვიოხრე ელდანაცემმა, ერთხელაც დავიხედე ტანზე და წამოსაწოლად უფრო შესაფერი ადგილი მოვძებნე.

### ასი მილიონი მოცვი და ქინძისთავი

— ძია, რა წიგნი დაკარგე? — მკითხა პეტიამ.

— ძალიან საინტერესო წიგნი იყო ერთ მეცნიერზე, ორი ათასი წლის წინათ რომ ცხოვრობდა საბერძნეთში. დარწმუნებული ვარ, ჩვენსავით არ დაყიალობდა და ამიტომაც ჰყოფნიდა დრო დიდი აღმოჩენებისათვის.

— შენც აღმოაჩენდი რაიმე მნიშვნელოვანს, დღეს ჩემთან რომ არ წამოსულიყავი?

გაკვირვებულმა ცნობისმოყვარეობით გადავხედე პეტიას: იქნებ ხუმრობს-მეთქი. მაგრამ პეტიამ კითხვა სერიოზულად დამისვა. რა პასუხი გამეცა?

— რა აღმოაჩინა იმ მეცნიერმა? — არ მასვენებდა პეტია.

— ის მეცნიერი იყო პირველი, ვინც მიხვდა, რომ ყველაფერი ქვეყანაზე მცირე ნაწილაკებისაგან შედგება.

— როგორ? ეს ხომ ტყუილია?

— არა, მართალია. დემოკრიტე (ასე ერქვა მეცნიერს) ამბობს: ყველაფერი, რასაც ვხედავთ ჩვენს ირგვლივ — ხეები, კუნძები, ბალახი, მოცვი, ვლტავის წყალი თუ ზბრასლავისა და პრაღის სახლები, ძეხვის ბუტერბროდები... ჰო, მართლა, ხომ არ დაკარგე ჩვენი ბუტერბროდები?

— არა, აქა მაქვს.

— ძალიან კარგი. მაშ, ასე: პური, კარაქი, ლუდი, რომელსაც ახლა სიამოვნებით დავლევდი, ძეხვი — მოკლედ რომ ვთქვათ, ყველაფერი ქვეყანაზე შედგება მილიონი პაწაწკინტელა ნაწილაკისაგან, რომელსაც ერთი და იგივე სახელი ჰქვიათ.

— რას ამბობ, განა ქვის ნატეხსა და ყველის ნაჭერს ერთი და იგივე სახელი ჰქვია?

— ჩემო კარგო, დემოკრიტე ხილულ ნაწილაკებზე კი არა, ისეთ პაწაწკინტელა ნაწილაკებზე ამბობს, რასაც ვერც ერთი, ყველაზე კარგი მხედველი ადამიანიც კი ვერ ჰკიდებს თვალს.

— ეს ყველაფერი შენ ახლა მოიფიქრე, არა? სინამდვილეში კი, რაც თქვი, სიცრუეა, ხომ?

— სრულიადაც არა. სამყაროში ყველაფერი შედგება უხილავი ნაწილაკებისაგან და მათ ატომები ჰქვია. ამიტომაც ვამბობთ: ყველაფერი ატომებისაგან შედგება.

— დედამიწაც?

— დედამიწაც.

— ჰაერიც?

— ჰაერიც.

— ვარსკვლავები, მთვარე, მზე?

— ისინიც.

მე და შენ?

— მე და შენც. ყველა დანარჩენი ადამიანი და ცხოველიც. ხომ გითხარი, ყველაფერი, ყველაფერი.

ატომები პაწაწკინტელა „აგურებია“, რითაც აშენებულია სამყარო. ასეთი აგურები შეერთებისას ქმნიან უფრო მოზრდილ ნაწილაკებს. მათ მოლეკულებს ვუწოდებთ. მოლეკულები ატომებზე დიდია, მაგრამ არ გეგონოს, რომ შეუიარაღებელი თვალით დაინახავ. მხოლოდ ზოგიერთის, ყველაზე დიდის დანახვა შეიძლება. ისიც განსაკუთრებული ძლიერი მიკროსკოპით.

— თუ მოლეკულები ძალიან პატარებია, მაშინ ქვეყნად უთვალავი ყოფილა. საინტერესოა, რამდენია?

— იმდენად ბევრია, რომ დათვლა შეუძლებელია. არ ვიცი, როგორ აგიხსნა გასაგებად... ჰო, მოვიფიქრე! მოცვი დაგვეხმარება და აი, ეს...

საყელოდან ჩვეულებრივი ქინძისთავი ამოვაძრე. ყოველთვის თან ვატარებ. ვინ იცის, რისთვის დამჭირდება. თუ გამეხა რამე — ავიღებ და მივამაგრებ.

— მაშ ასე, ვთქვათ, ეს ფერდობი სულ მთლად მოცვით არის მოფენილი, შენ ჰკრეფ დღედაღამე, ზამთარზაფხულ, შემოდგომა-გაზაფხულზე, ჰკრეფ და არ თავდება — ახალი მოცვი ამოდის. ასი მილიონი კენკრა რომ მოაგრავო, ათეული წლებია საჭირო. ასი მილიონი კენკრა ძალიან ბევრია, მთელი მთაა, იმ ნაძვზე მაღალი. ასი მილიონი მოლეკულა კი იმდენად პაწაწკინტელაა, ქინძისთავის თავში ჩაეტევა, თუმცა ქინძისთავის თავი მოცვის ერთ მარცვალზე ბევრად პატარაა. მთელი მოცვის მთა ქინძისთავის თავში რომ მოთავსდეს, მოცვის ყოველი მარცვალი ას მილიონჯერ უნდა შემცირდეს, მაშინ იგი მოლეკულისოდენა გახდება.

— თუ ქინძისთავის თავში ასი მილიონი მოლეკულა ჩაეტევა, — თქვა პეტიამ, — ამ სათამაშო ბურთულაში რამდენი მოთავსდება?

— ალბათ, მილიარდი, თუ მეტი არა. ბურთულა ხომ ქინძისთავის თავზე დიდია.



## მოუსვენარი მოლეკულები

პეტია ქინძისთავის გამჭვირვალე შუშის თავს ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა.

— არ დამიკარგო, გეთაყვა. — ვუთხარი დისწულს, — წიწვებში თუ ჩაგივარდა, ველარ ვიპოვით. რამდენიც უნდა მოუჭირო ქინძისთავს, მისი მოლეკულების მოძრაობას ამით ვერ შეაჩერებ, მაინც იმოძრავებენ, ერთი წუთითაც არ შეისვენებენ. სხვადასხვა სხეულის მოლეკულები სხვადასხვანაირად მოძრაობენ. მყარ სხეულებში — თუნდაც გრანიტში — მოლეკულები ზანტად გადაადგილდებიან, უფრო უკეთ, ერთ ადგილს ტკეპნიან. ეს გასაგებიც არის: ისეთ სივიწროვეში, როგორშიც მყარი სხეულების მოლეკულებია, ძნელია გაქცევ-გამოქცევა. წყალსა და სხვა თხევად სხეულებში მოლეკულები უფრო თავისუფლად გრძნობენ თავს, ამიტომაც გაცილებით სწრაფად მოძრაობენ, მაგრამ ყველაზე არხეინად გაზის მოლეკულები არიან, ფართოდ, ხალვათად ცხოვრობენ და უწესრიგოდ დაფრინავენ აქეთ-იქით. პეტია, ასე გულდაგულ რომ აკვირდები ქინძისთავის შუშის თავს, მოლეკულების მოძრაობა ხომ არ გინდა შეამჩნიო? ტყუილად ცდილობ, არაფერი გამოგივა.

— რატომ?

— არ ვიცი, როგორ აგიხსნა... წარმოიდგინე, თითქოს მაღლა, თვითმფრინავში ზიხარ. ზემოდან ხალხს კი არა, ვეებერთელა შენობასაც ვერ ხედავ. იქ, სადღაც ქვემოთ, ცხოვრობენ შენი დედა, მამა, მეგობრები და მილიონობით სხვა ადამიანი. იცი, რომ ეს ხალხი დადის ფეხით, მოგზაურობს მატარებლით, ავტომანქანებით, რომ სწორედ დღეს სტადიონზე საინტერესო თამაშია, უამრავი ადამიანი მოიყრის თავს. ყველაფერი ეს შენ იცი, მაგრამ ზემოდან ამის დანახვა არ შეგიძლია. სიმაღლიდან ძალიან დაპატარავდნენ ადამიანები, შეუმჩნეველნი გახდნენ. ისევე შეუმჩნეველნი, როგორც მოლეკულები ადამიანის თვალისათვის.

— რა ეშმაკი ხარ, — შემესიტყვა პეტია, — ქვეყანაზე რომ ადამიანები არიან, ეს ყველამ იცის, მაგრამ საიდან ვიცით, რომ მოლეკულები მართლა არსებობენ?

ვერაგული შეკითხვაა. უცებ პასუხის გაცემა გამიჭირდა.

— ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ. ახლა კი, ჩემო კარგო, მოცვი შეაგროვე, მე კი გაავდრებამდე ცოტას მოვისვენებ, — წავილუღლუღე იმ იმედით, რომ დროთა განმავლობაში მოვიფიქრებდი რამეს.

პეტიამ მოცვით მთელი ქილა აავსო. სოკოც ბლომად შეაგროვა. საკმაოდ მოზრდილი ტვირთი ზურგზე მოვიკიდე. ბილიკს გამოვყევით და მშვიდობიანად დავბრუნდით.

შუადღემ მოაღწია. უცებ მოიღრუბლა. ქალაქგარეთ კაფეში შევედით.

— წვიმის დამთავრებას დავუცადოთ და დავნაყრდეთ, — ვუთხარი დისწულს.

პეტიას წყურვილი ახრჩობდა. მომტანმა ჭიქა გაზიანი წყალი დაუდგა და ყოლოს წვენის ჩამატება დააპირა, მაგრამ... შევაჩერე.

— ნება მიბოძეთ, მე ჩავასხა... აი ახლა, პეტია, — საზეიმოდ წარმოვთქვი, — ჩვენ აღმოვაჩენთ მოლეკულებს!

— მოლეკულებს?. აკი მითხარი, მათი დანახვა შეუძლებელიაო!

— მართალია, თვითონ მოლეკულებს ვერ დავინახავთ, მაგრამ მათ არსებობას გამოვამჟღავნებთ.

ჭიქაში წყლის დაწმენდას დაველოდე. შემდეგ ყოლოს წვენი ფრთხილად ჩავაწვეთე, სადაც წვეთი დაეცა.

იმ ადგილიდან ყოველი მხრით გაიშალა ჟოლოსფერი ნაკადულები.

— როგორ გგონია, რატომ შეერია ჟოლო წყალს? — შევეკითხე პეტიას,

— იმიტომ რომ, იგი წყალში იხსნება.

— პასუხი არც ისე ზუსტია. ყური მიგდე: წყლის მოლეკულები, ისევე როგორც ყველა ნივთიერების მოლეკულები, განუწყვეტლივ მოძრაობენ. ამ სივიწროეში ისინი წამდაუწუმ ერთმანეთს ეჯახებიან. უცებ მათ გზაზე აღმოჩნდნენ ჟოლოსფერი წვენის მოლეკულები. წყლის მოლეკულებმა მუჯლუგუნი წაჰკრეს, გასწი-გამოსწიეს დაუპატიჟებელი სტუმრები და მათ შორის შეიჭრნენ. ასე გაიშალა ჟოლოსფერი წვენი მთელ ჭიქაში. გამოდის, რომ მოლეკულებს ვერ ხედავ, მათ მოძრაობას კი შეგიძლია თვალი ადევნო. ეს მაგალითი იმას ამტკიცებს, რომ მოლეკულები მართლაც არსებობენ და ყოველთვის მოძრაობენ.

## სად გაქრა სიგარეტი

სიგარეტი მოვწიე. უცებ აზრი დამებადა, სიგარეტიც ხომ დამეხმარება ვუამბო პეტიას მოლეკულებზე.

— ხედავ, პეტია, როგორ პატარავდება თანდათან სიგარეტი? სად გაქრა? ერთი ნაწილი ნაცრად იქცა, მეორე კი ბოლად. ბოლი — სიგარეტის უმცირესი ნაწილაკებია, რომელიც ჰაერს უერთდება. ხომ ხედავ, როგორ ადის ბოლი ზევით რგოლებად, შემდეგ კი ქრება. რა იქნა ბოლი?...

— გაქრა ჰაერში, — მეუბნება პეტია.

— მართალია. აბა, სწორად თუ ამიხსნი ამ გაქრობას?.. როგორ გაუჩინარდა ბოლი?..

პეტია ჩაფიქრდა.

— როგორც ჭიქაში ჟოლოს წვენი, ისე გადნა ჰაერში?

— ყოჩაღ, სწორედ ეგრეა! — გამეხარდა. — ბოლის ნაწილაკები წვეთია ზღვაში ჰაერის მოლეკულების რიცხვთან შედარებით. ბოლის ნაწილაკები იჭრებიან და იკარგებიან ჰაერის მოლეკულებში.

— მაშ, ის ერთი ჭიქა წვნიანი გაზიანი წყალი, დიდ კასრში რომ ჩაგვესხა, წყალი კასრში ოდნავაც არ გაწითლდებოდა.



## ცდა, რომელიც გამოგივათ

უცებ მოიქუფრა, ცამ დაიგრიალა, დაიჭექა, დაიქუხა და წვიმა წამოვიდა.

წვიმის მოზრდილი წვეთი ჩვენს მაგიდაზე დაეცა. პეტიამ საფერფლიდან ასანთის ღერი ამოიღო და წვეთი პატარ-პატარა ნაწილებად დაყო.

— ძია, წვეთი რომ გავჭერი, მოლეკულებიც გაიჭრა?

— არა, ჩემო კარგო, მოლეკულები არ გაგიჭრია, შენ მხოლოდ მოლეკულების ერთი ჯგუფი მოაშორე მეორეს. წყლის, ჰაერისა და საერთოდ გაზის მოლეკულების განცალკევება ძალიან ადვილია, ისინი ხომ ერთმანეთს მჭიდროდ არ ეკვრიან. აბა, შემომხედე, ხელის ერთი მოქნევით როგორ გავფანტე ბოლი, ესე იგი, ჰაერიც!

როდესაც ასანთის ღერს ვტეხ, აი ასე, ორ ნაწილად, ხის მოლეკულებს როდი ვამტვრევ, მხოლოდ ერთმანეთისაგან ვაცალკევებ. ხის მოლეკულები მთელი და უვნებელია, თუმცა ისინი წყლის მოლეკულებზე უფრო მჭიდროდ არიან ერთად შეკრულნი.

— რამდენს იწონის მოლეკულა?

— ხომ გითხარი, მოლეკულა პაწაწკინტელაა-მეთქი, მაშასადამე, წონითაც ნამცეცაა. არ არსებობს ისეთი სასწორი, მოლეკულა რომ აიწონოს. მილიონობით მოლეკულა რომ შეგროვდება, მაშინ სხვა საქმეა — აწონვა შეიძლება.

— მოიცა, მოიცა... შენ მითხარი, ჰაერიც მრავალრიცხოვანი მოლეკულისაგან შედგებაო. განა შეიძლება აწონვა?

— ამ წუთში დაგიმტკიცებ, რომ წონა ჰაერსაც აქვს. ჩაგიტარებ ცდას, რომელიც ძალიან დიდი ხნის წინათ მამაჩემმა მიჩვენა. სხვა ცდებთან შედარებით იგი ყოველთვის გამოდის. მომაწოდე ის თხელი ფიცარი, ბოთლების ყუთიდან არის ალბათ, აგლეჯილი, სწორედ ასეთი გვჭირდება.

პეტიამ ფიცარი მომიტანა. მისი სიგრძე ნახევარი მეტრი, სიგანე ხუთი სანტიმეტრი, სისქე კი ორი მილიმეტრი იქნებოდა.

— აბა, თუ გატეხ, — შევთავაზე დისწულს.

პეტიამ ფიცარს ორივე ხელი ჩასჭიდა. ბევრი ეწვალა, მაგრამ უშედეგოდ.

— ვერ გატეხე, ხომ? აბა ახლა ფიცარი მაგიდაზე დადე. მისი მესამედი მაგიდის კიდეს გადააცილე. თუ ამ

გამოშვერილ ნაწილზე მაგრად დაარტყამ, ადვილად გადატყდება.

პეტიამ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ფიცრის გამოშვერილ ნაწილს ხელი დაჰკრა. მყისვე ფეხზე წამოვხტი. ფიცარი კაფეს ბოლოში მდგარ მაგიდისკენ ჩიტივით გაფრინდა. მაგიდასთან ხალხი ისხდა. როგორმე უნდა მიმესწრო ფიცრისათვის.

ჩემდა ბედად, ფიცარი ნელა მიფრინავდა. ჰაერში რკალი შემოხაზა. დროზე მივასწარი. ერთი ხელით მფრინავი ფიცარი დავიჭირე, ხოლო მეორით მაგიდაზე სავსე ბოთლს ვტაცე ხელი: არ გადავაყირაო-მეთქი. იქ მსხდომთ დამნაშავესავით გავუღიმე, ზრდილობიანად თავი დავუკარი, რაღაც ჩავიბურტყუნე და, სანამ შეშფოთება გაუვლიდათ, ჩვენს მაგიდასთან დავბრუნდი.

— მოდი, სხვაგან გადავსხდეთ, — ვუთხარი პეტიას.

ამჯერად ხის ძირში მივუსხედით მაგიდას, განვმარტოვდით.

— ძია, შენ მითხარი, ფიცარი გატყდებაო. ჰაერში რომ აფრინდა?

— აჩქარდი, ჩემო კარგო, აჩქარდი. ცდის მომზადება არ დამაცადე. აი, მიცქირე!

ჯიბიდან გაზეთი ამოვიღე: მაგიდაზე ისე გავშალე, კიდეს არ გადავაცილე. ქვეშ ჩვენი ფიცარი ამოვუდე. გაზეთი გავასწორე, ზედ მაგრად დავაწექი, ფიცარსა და გაზეთს შორის არე რომ არ დარჩენილიყო.

— ახლა კი, — მივუბრუნდი პეტიას, — უფრო ძლიერად და ღონივრად დაჰკარი.

პეტიამ დაჰკრა. გაისმა ტკაცანი. ფიცარი გადატყდა...

— იცი, ვინ დააკავა ფიცარი? — შევეკითხე პეტიას.

პეტიამ გაზეთის ქვეშ შეიხედა და მითხრა:

— არავინ.

— ცდები, ჩემო ძვირფასო, ვიღაცამ დააკავა ჩვენი ფიცარი, და ეს „ვიღაცა" — ჰაერია.

— საოცარია... — გაიკვირვა პეტიამ, — როგორი „ჰირვეული" ჰაერია. ჯერ არ მოისურვა ფიცრის დაჭერა, გაზეთი რომ გადავაფარეთ, დააკავა.

მართალი ხარ. ეს „ჰირვეულობა", როგორც შენ დაარქვი, ძნელი ამოსაცნობი როდია. ყოველ საგანს ჰაერი აწვება. საგნის ზედაპირის ყოველ კვადრატს, რომლის ოთხივე გვერდი ერთი სანტიმეტრის ტოლია, ჰაერი აწვება ერთი კილოგრამის ძალით. ასე რომ, ყოველი კვადრატი ნებისმიერი საგნისა, ცხოველისა თუ ადამიანისა, თან ატარებს ერთი კილოგრამის ოდენა ტვირთს. მაშასადამე, გაზეთსაც აწვება ჰაერი, თუ რა ძალით, ახლავე გამოვიანგარიშებთ: გაზეთის სიგრძე 60 სანტიმეტრია, სიგანე — 40, ესე იგი ამ გაზეთის სიგრძეზე დაეტევა 60 კვადრატი, ხოლო სიგანეზე 40. რამდენი დაეტევა სულ? სამოცჯერ... — ვუკარნახე.

— ორმოცი, — დაასრულა პეტიამ.

— სწორია. სულ ორი ათას ოთხასი კვადრატია, რომლის ყოველი გვერდი უდრის ერთ სანტიმეტრს.

— მაშასადამე, გაზეთს აწვება ორი ათას ოთხასი კილოგრამი ჰაერი, — თქვა პეტიამ.

— დიახ, თითქმის ორტონნახევარი, პატარა წონა როდია. დაახლოებით ამდენივეს იწონის სატვირთო მანქანა. აი რა ძალამ დააკავა გაზეთი. ამ წონის ნაწილი კი ჩვენს ფიცარზეც მოქმედებდა. ამიტომაც იდო ფიცარი გაუნძრევლად. იცი, რატომ აწვება ჰაერი ყოველ საგანს? იმიტომ, რომ მის მოლეკულებს წონა აქვთ. ცალკე აღებული ჰაერის მოლეკულის წონა ძალზე უმნიშვნელოა, მილიონ მოლეკულას კი საკმაოდ დიდი წონა აქვს. ერთ ხორბლის მარცვალს აბა რა წონა აქვს, ხოლო ერთ ტომარა პურის მარცვალს ყველა როდი ასწევს...

## მოლეკულებზე ამხედრებული კიტრების მოსატანად

სადილობის დრო მოახლოვდა. სამზარეულოდან მადის აღმძვრელი სუნი გვცემდა.

— მალე აქ ბევრი ხალხი მოიყრის თავს, — ვუთხარი პეტიას, — სანამ გვიან არ არის, წავიდეთ, სადილი შევუკვეთოთ.

სამზარეულოში საქმეში ყელამდე ჩაფლული ერთი მზარეული დაგვხვდა. კეთილი ქალი აღმოჩნდა, სიამოვნებით გვიპასუხა, თუ რა ექნებოდა დღეს სადილად. ისღა დაგვრჩენოდა, გემრიელი კერძი შეგვეკვეთა.

— კატლეტები, ძია კატლეტები, — მიჩურჩულა პეტიამ.

— ორი ულუფა კატლეტი, თუ შეიძლება, — ვუთხარი მზარეულს.

— დიდები, დიდები! კიტრებიც არ დაგავიწყდეს, — არ მასვენებდა პეტია.

მზარეულს გაეღიმა.

— ნუ გეშინია, შიმშილით არ მოკვდები, დანაყრდები. აბა, შეხედე, რამოდენა კატლეტებია? კიტრს კი ბევრს ვერ მოგართმევთ. ჩემი დამხმარე გოგონა კიტრების მოსატანად უნდა გამეგზავნა, მაგრამ ჰექა-ქუხილის დროს უამრავი ხალხი მოგვაწყდა, გოგონა მიმტანს მიეშველა, კიტრის თავი, აბა, ვიღას ექნებოდა?

— დასანანია! პეტიას ძალიან უყვარს კიტრის სალათა, მეც არ ვიტყოდი უარს.

— კიტრი შორიდან არის მოსატანი? იქნებ ჩვენ შეგეშველოთ, — შევთავაზე მზარეულს.

— სამწუხაროდ, მებოსტნე შორს, მდინარის გაღმა ცხოვრობს. ველოსიპედით მივდივართ მასთან, დღეს ველოსიპედიც გაგვიფუჭდა, საბურავი გაუსკდა.

— ძია, მე წავალ, ძალიან გთხოვ, — შემეხვეწა პეტია.

— ჯერ ველოსიპედი ვნახოთ, შევაკეთოთ... ქალბატონო, იმ ველოსიპედზე ბრძანებთ, საჩეხში რომ დგას?

— დიახ, დიახ. მართლა დამეხმარებით? — გაეხარდა მზარეულს. — ოი, მაშინ, ჩემო ბიჭუნავ, ძალიან დიდს, თეფშისოდენა კატლეტს მიიღებ, სალათასაც, რამდენსაც მოისურვებ.

ველოსიპედი შევათვალიერეთ. უკანა თვლის კამერა დაშვებულიყო. „სადღაც ნაჩხვლეტია", — გავიფიქრე.

მე და პეტია საქმეს შევუდექით. კამერა რეზინის წებოთი გულდაგულ დავაწებეთ. საბურავი მაგრად გავბერეთ.

— აბა, ტუმბოს ხელი შეახე, როგორ გახურდა! — ვუთხარი პეტიას.

— მართლაც, ცხელია.

— რატომ გახურდა, თუ იცი?

— რატომ? — გაიკვირვა. — იმიტომ რომ, დგუში ზევით-ქვევით მოძრაობს, ეხახუნება ტუმბოს კედლებს, ამიტომაც გახურდა.

როგორც ჩანს, ჩემს დისწულს სადღაც უკვე სმენია ამის თაობაზე.

— ჰმ... ეს სწორია, მაგრამ ნაწილობრივ. აბა ხელი მოჰკიდე რეზინის მილს, რითაც ტუმბო საბურავს უერთდება.

— ისიც გაცხელებულა — გაუკვირდა პეტიას.

— აქ ხომ არავითარი დგუში არ მოძრაობს, კედლებს რომ მიეხახუნოს?

პეტია ჩაფიქრდა.

— შევეცდები აგიხსნა. პირველ რიგში ისევ მოლეკულები უნდა გავიხსენოთ, — ვუთხარი პეტიას. — მოლეკულები, რისგანაც შედგება ნივთიერება, არასოდეს




არიან ცხელი ან ცივი. მაგრამ მოლეკულები რაც უფრო სწრაფად მოძრაობენ, მით უფრო ცხელდება ამ მოლეკულებისაგან შემდგარი ნივთიერება.

— რა სიჩქარით მოძრაობენ მოლეკულები?

— ჰაერის მოლეკულები ისე სწრაფად მოძრაობენ, რეაქტიული თვითმფრინავიც ვერ დაეწევა. როდესაც ჰაერის ტემპერატურა თვრამეტი გრადუსია, მოლეკულების სიჩქარე დაახლოებით ხუთასი მეტრია წამში. წუთში რამდენი იქნება?

— წუთში ხუთასი გამრავლებული სამოცზე — ოცდაათი ათასი მეტრი, ოცდაათი კილომეტრი.

— სწორია. საათში ეს სიჩქარე ათას რვაასი კილომეტრია. მაშასადამე, ერთ საათში მთელ ჩეხოსლოვაკიას მოლეკულა ორჯერ გადასერავდა, ერთი ბოლოდან მეორემდე — აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე და დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე.

— აი, მესმის სიჩქარე! — გაკვირვებულმა პეტიამ ხელებიც კი გაშალა. — თუ ჰაერის მოლეკულები მუდმივ მოძრაობაში არიან, თანაც ასეთი სიჩქარით მოძრაობენ, საშინელი ქარი უნდა ქროდეს.

— არა, ჩემო კარგო, ჩქარა მოძრავი მოლეკულები განუწყვეტლივ იცვლიან მიმართულებას. ამიტომ შორს ვერ მიფრინავენ, ამოძრავდებიან თუ არა, იქვე ეჯახებიან თავიანთ თანამოძმეებს და სხვადასხვა მხარეს განიბნევიან. სხვა მოლეკულებს დაეჯახებიან და ისევ განიბნევიან. ასე დაუსრულებლად მოძრაობენ წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ, განუსაზღვრელი მიმართულებით.

— როგორც ბურთი მაგიდის ჩოგბურთის თამაშის დროს, არა?

— დაახლოებით. თუმცა მოლეკულების მოძრაობა მაგიდის ჩოგბურთის მოძრაობას უფრო ჰგავს, როცა ისინი ყუთშია ჩალაგებული და ყუთს განუწყვეტლივ ანჯღრევენ. ყუთში ბურთები ერთმანეთს ეჯახებიან, გასხლტებიან სხვადასხვა მხარეს და ისევ ეჯახებიან... მოლეკულებიც ამ ბურთებს ჰგვანან. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მათ არავინ ანჯღრევს — თვითონ მოძრაობენ.

— გასაგებია... რა კავშირი აქვს ამას ტუმბოს ჰაერის მოლეკულებთან? — დაინტერესდა პეტია.

— პირდაპირი კავშირი, პირდაპირი. როდესაც დგუში ქვევით ჩაგყავს, აწვება შიგ მყოფი ჰაერის მოლეკულებს. გაზებში, ხომ გითხარი, მოლეკულების რაოდენობა ნაკლებია-მეთქი, ვიდრე თხევად ან მყარ სხეულებში. გაზებში მოლეკულებს შორის თავისუფალი ადგილი მეტია. ჰაერს რომ ტუმბავ, მოლეკულებს აიძულებ შემჭიდროვდნენ, შევიწროვდნენ, ამიტომაც ჰაერის მეტი მოლეკულა ეტევა კამერაში. ახლა ისეა დატენილი კამერა ჰაერის მოლეკულებით, როგორც ჩვენი ავტობუსი ამ დილით.

— ეს გავიგე. გაუგებარია, როგორ გახურდა ტუმბო: იმ სივიწროვის გამო, რომელშიც ახლა მოლეკულები არიან, თუ მოლეკულების სწრაფი მოძრაობის გამო? ადრე შენ მითხარი, მოძრაობისაგანო.

— ორივე მიზეზის გამო. წარმოიდგინე, გაქვს მაგიდის ჩოგბურთის ბურთი. მთელი სიძლიერით გაისროლე, გინდა მოახვედრო შორს მდგარ ხეს, მაგრამ ბურთი ახლოს მდგარ ხეს მოხვდა. ახლო ხიდან ბურთი უფრო ძლიერად მოსხლტება, ვიდრე შორეული ხიდან მოსხლტებოდა. აი სწორედ ასე სხლტებიან ჰაერის მოლეკულები დგუშიდან. მაგრამ ხე ადგილზე დგას, დგუში კი მოძრაობს, ძლიერად აწვება მოლეკულებს, აიძულებს უფრო სწრაფად მოსხლტნენ, ვიდრე დგუშის უმოძრაო კედლებიდან სხლტებიან. რაც უფრო სწრაფად მოძრაობენ მოლეკულები ნივთიერების შიგნით, მით უფრო თბება ეს ნივთიერება. იგივე ხდება აქაც. დგუშის მოძრაობის

გამო ჰაერის მოლეკულები ტუმბოს შიგნით უფრო სწრაფად დაფრინავენ. ჰაერიც ამიტომ თბება. ჰაერის სითბო გადაეცემა ტუმბოს კედლებს, რეზინის მილს, რომელიც ტუმბოს აერთებს საბურავთან, ცოტაოდენი სითბო საბურავსაც გადაეცემა.

— ძია, აი ასე, ჰაერს ჩქარ-ჩქარა ხელს რომ ვუჭერ, ხელი რატომ არ თბება?

— იმიტომ, რომ ჰაერის ხელით დაჭერა იგივეა, წყალი რომ ზიდო ცხრილით. ჰაერი თითებშორის სხლტება. აბა, ასეთი ცდა ჩაატარე... ჯერ ქურთუკი ჩაიცვი, ხომ ხედავ, როგორ აგრილდა. ქურთუკი-ცდის ჩატარებაშიც დაგვეხმარება. დავიწყოთ: ღრმად ჩაისუნთქე, ფილტვებში ბევრი ჰაერი დაიგროვე. ახლა კი ტუჩები ქურთუკის სახელოს მჭიდროდ მიადე, რამდენჯერმე ძლიერად ამოისუნთქე... რა იგრძენი?

— ხელი გამიხურდა, — თქვა პეტიამ.

— აბა, თუ ამიხსნი, რატომ?

— ვერ ავხსნი.

— ტუჩებთან ხელისგული მიიტანე, ტუჩებს არ შეეხო, ახლა ძლიერად ამოისუნთქე. გაგითბა ხელისგული?

— არა, არ გამითბა, თუმცა გამთბარი ჰაერი ამოვისუნთქე.

— ამ ცდაში იგივე ხდება, რაც ტუმბოს შიგნით, ოღონდ იმ განსხვავებით, ამოსასუნთქ ჰაერს ძალას შენ ატან, იქ კი ამას დგუში აკეთებს. იქაც ჰაერი იკუმშება. მოლეკულები შემჭიდროვდებიან და გაცილებით მცირე მანძილზე ფრენენ, რის გამოც უფრო სწრაფად და ძლიერად ეჯახებიან ერთმანეთს, სხლტებიან დიდი სიძლიერით და სიჩქარით. ჰაერი ამიტომ თბება, ცხელდება. ასეთი ჰაერი დაგროვდა შენი ქურთუკის სახელოში და შენც იგრძენი. ხელისგულს რომ შეუბერე, ჰაერი სულ არ შეკუმშულა, მოლეკულები არ აჩქარებულან, თავისუფლად დაიფანტნენ, ამიტომაც არ გაგითბო ხელისგული.

— ძია, ყველაფერი ეს ძალიან კარგია, მაგრამ კიტრების მოსატანად არ წავიდე? საბურავი ხომ შევაკეთეთ. გამიშვი, ძალიან გთხოვ, — შემეხვეწა დისწული.

საბავშვო ველოსიპედი არ იყო. ამაში პეტია თვითონ დარწმუნდა. გაატარ-გამოატარა, სატერფულებს ფეხით ვერ მისწვდა, თუმცა მეუბნებოდა, ჩემი ზომისააო.

— ვერ გაგიშვებ, დაეცემი, — წასვლის ნება არ მივეცი, მე თვითონ შევჯექი ველოსიპედზე, იმ ჰაერის მოლეკულებზე, ველოსიპედის საბურავებში რომ შევრეკეთ, და კიტრების მოსატანად წავედი.

ბევრი კიტრი მოვიტანე. გახარებულმა მზარეულმა ვეებერთელა კატლეტები და კიტრის სალათა იმდენი მოგვართვა, პეტია ნახევარსაც ვერ მოერია.

## ცხელი შეჭამანდი

კი მაგრამ, რატომ დავიწყეთ მეორე კერძით? პირველ კერძად ხომ შესანიშნავი ვერმიშელის წვნიანი შეჭამანდი გვქონდა? იმიტომ, რომ წვნიანი ცხელი იყო. პეტიამ თეფშს სული შეუბერა, ცოტა რომ გაეგრილებინა წვენი.

— ისევ მოლეკულები. — ვთქვი და პეტიას შევხედე.

— რა მოლეკულები? — იკითხა გაკვირვებულმა პეტიამ.

— დიახ, სწორედ მათზეა დამოკიდებული შეჭამანდის გაცივება. სულის შებერვით თეფშიდან ამოფრენაში ეხმარები მოლეკულებს.

— მაინც როგორ ცივდება წვნიანი შეჭამანდი?

— ახლავე გაიგებ. შორიდან მოვუვლი. აი, ტუმბოში შენ ჰაერის მოლეკულების მოძრაობას აჩქარებდი იმით, რომ დგუშს აწვებოდი. მოლეკულების მოძრაობის აჩქარება შესაძლებელია მაშინაც, თუ მათ გავაცხელებთ. როდესაც წვენი იხარშებოდა, მისი მოლეკულები სულ უფრო მეტი სიჩქარით აწყდებოდნენ აქეთ-იქით,ზოგი მოლეკულა სხვებზე ადრე და უფრო ძლიერ გახურდა, სწრაფად ამოძრავდა, სხვებს გაასწრო და ქვაბის თავზე მოექცა. გასწი-გამოსწია შედარებით ცივი მოლეკულები და ქვაბიდან ამოხტა. ყოველთვის, როდესაც ქვაბიდან ან ჩაიდნიდან ამომავალ ორთქლს დაინახავ, იცოდე, ხტებიან გაცხელებული მოლეკულები. ახლაც ხტებიან შენი თეფშიდან მოლეკულები. ხედავ, შეჭამანდს ორთქლი რომ ასდის? როდესაც წვენს სულს უბერავ, ორთქლის სხვა მოლეკულებს ეხმარები თეფშიდან ამოფრენაში.

— კი მაგრამ, ეს წვენს რატომ აცივებს?

— სანამ მოლეკულები თეფშიდან ჰაერში აფრინდებიან და ორთქლად გადაიქცევიან, ხარჯავენ ენერგიას ერთმანეთთან შეჭიდულობის დასაძლევად. ამისთვის სითბო იხარჯება. ამიტომაც ცივდება წვენი.

— თუ ასეა, წვენი სულ მალე გაქრება!

— მართლაც გაქრება, თუ შეჭამ. ხოლო აორთქლდება უმნიშვნელო ნაწილი, რასაც ვერც კი შეამჩნევ.

— დავუშვათ, მივატოვე სულის შებერვა, გამოდის, წვენი არ უნდა გაცივდეს. ასე რომ არ ხდება?

— რასაკვირველია, წვენი შენს დაუხმარებლადაც გაცივდება — ქურაზე ხომ არ არის შემოდგმული, მაგიდაზეა. წვენის მოლეკულები თანდათან წყნარდებიან, ანელებენ ფრენას, სირბილს. მაგრამ, როდესაც სულს უბერავ, გაცილებით ჩქარა ცივდება კერძი. ეს იმიტომ, რომ გარეთ ერეკები სწრაფი მოლეკულების ნაწილს. მათში კი ყველაზე მეტი სითბოა.

— ალბათ გაცივდა ჩემი წვენი, — თქვა პეტიამ და სავსე კოვზი პირში იტაკა, მაგრამ უცებ დაახველა და დათუთქული ენით ძლივს ამოილუღლუღა: — არა, ჯერ ცხელია.

— რასაკვირველია, ცხელია, — დავეთანხმე მე, — უკვე რამდენიმე წუთია, სული არ შეგიბერავს. ამასობაში თეფშის თავზე ქონის ფენა გაჩნდა. აბა, დააკვირდი, ხედავ? წყლის მოლეკულებმა — წვენის უმეტესი ნაწილი ხომ წყალია! — ვერ დასძლიეს ეს დაბრკოლება, ძალა არ ჰყოფნით ამისათვის. აქ ყველაზე მოძრავი, ყველაზე ცხელი მოლეკულებიც კი ბრკოლდებიან. შენ კი შეგიძლია იხსნა ისინი ტყვეობიდან. მოურიე წვენს კოვზით, გაარღვიე ეს დაბრკოლება, ცხელი მოლეკულები მაშინვე ამოხტებიან, გარდა ამისა, ხელს შეუწყობ ზევით ამოტივტივდნენ და გაფრინდნენ ის მოლეკულებიც, უფრო ქვევით, სიღრმეში რომ არიან. ამიტომ გირჩევ, წვენს სული კი არ შეუბერო, კოვზით მოურიო. ეს უფრო სწორია და, გარდა ამისა, უზრდელობაშიც არ ჩაგეთვლება.

— აი, მესმის! — გაიკვირვა პეტიამ. — ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ჩემი წვენის ორთქლი წყლის მოლეკულების ღრუბელი იყო.

— რამდენიც უნდა გაიკვირვო, ეს ასეა, ჩემო კარგო. ალბათ იცი და სკოლაშიც ბევრჯერ გსმენია, რომ ორთქლს უდიდესი ძალა აქვს. წყლის უხილავი მოლეკულები, რისგანაც ორთქლი შედგება, ამოძრავებენ ელექტროსადგურების ტურბინებს, ეწევიან მატარებლებს, უამრავ სასარგებლო საქმეს ასრულებენ. ეს კი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მართლაც არსებობენ უხილავი მოლეკულები.

**დასასრული იქნება**

თარგმნა მერი მიშველაძემ.

## ავთიაქში

ავთიაქში, ჩანთით ხელში, მოსწავლის ფორმაში გამოწყობილი აქლოშინებული ბიჭი შემოვარდა. ძლივს წვდებოდა დახლს.

— რა გნებავს, ყმაწვილო? — ყურადღებით შეათვალიერა იგი სათვალიანმა პროვიზორმა.

— ძია, მომეცით ვალიდოლი, ვალოკორდინი, ვალერიანის წვეთები, ნიტროგლიცერინი, ქაფური, პირამიდონი...

— რად გინდა, ყმაწვილო, ამდენი წამლები?!. დაიხია უკან აფთიაქარმა. — ვინა გყავს, ბიჭო ავად?

— ჯერ არავინ.

— აბა?

— კლასის დამრიგებელმა მითხრა, ხვალ შენს სახლში უნდა მოვიდეო.

## „საპატიო“ მიზეზი

ტროლეიბუსის უკანა ბაქნიდან გადმოხტომა და მილიციელის თავზე დადგომა ერთი იყო.

— ტროლეიბუსიდან ჩამოხტომისათვის ჯარიმა გადაიხადეთ, ახალგაზრდავ!

— სინდისს გეფიცები, ბატონო, მე არ ჩამოვმხტარვარ.

— მაშ მე ჩამოვხტი?

— კონტროლიორმა ჩამომაგდო.

— რატომ?

— ბილეთი არ მქონდა.

## საყურადღებო დიალოგი

ორი მანდილოსანი საუბრობს.

— ბედნიერი ქალი ვარ, ბედნიერი, — ამბობს ერთი თავმომწონედ და განაგრძობს, — ერთ შვილს მუსიკოსად ვზრდი, მეორეს — მხატვრად, მესამეს — ფილოსოფოსად, მეოთხეს — მწერლად, მეხუთეს — მსახიობად, მეექვსეს — ...

— კი, მაგრამ, ერთი მხვნელ-მთესველი, ერთი მარჩენალი არ გინდათ ამდენ ხალხს? — აწყვეტინებს შვილების ქებაში გართულ ქალს თანამოსაუბრე.

**გიზო ნიშნიანიძე.**

# ლამაზი, შინაარსიანი დღეები

თვალწარმტაცი სანახებით, ჯანსაღი ჰაერით, შესანიშნავი მინერალური წყლით მთელ საქართველოში არის ცნობილი აგარაკი მუაში. იგი ლენტეხის რაიონში მდებარეობს. ზაფხულობით ამ აგარაკს სიცოცხლესა და მშვენებას მატებს პიონერთა ბანაკი „მზიური“, სადაც წლეულს ბევრ ჩემ თანატოლთან ერთად მეც ვისვენებდი. „მზიური“ ალბათ იმიტომ უწოდეს, რომ მზე თავის ცხოველმყოფელ სხივებს აქ პირველად სწორედ ბანაკის ტერიტორიას აფენს.

„მზიურში“ გატარებული ყოველი დღე მიმზიდველი იყო — შეხვედრები ლაშხელ მშრომელებთან, თერჯოლელი პიონერების სტუმრობა, მათ პატივსაცემად გამართული ელვა-კონცერტი, ექსკურსიები, ლაშქრობები...

მოვაწყეთ მანიფესტაცია — „თავისუფლება ჩილელ პატრიოტებს!“ მანიფესტაციისათვის საგულდაგულოდ კოხტად დავწერეთ ლოზუნგები, დავხატეთ ჩილეს თავისუფლებისათვის თავდადებულ მებრძოლთა პორტრეტები, ვიმღერეთ მშვიდობაზე, მეგობრობაზე, ავანთეთ პიონერული კოცონი.

მუდამ სიყვარულით მოვიგონებ ჩვენს მასწავლებლებს: კარლო ბაკურაძეს, დინარა ჯანხოთელს, ციცინო ონიანს, ნატო ტვილდიანს, ნანული ლიპარტელიანს, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ ბანაკელთა შინაარსიანი დასვენებისათვის.

**მანანა გენდლიანი,**
ლენტეხის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.




## ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №18

### წიგნი ჩემი მეგობარი

წიგნო, ჩემო მეგობარო,
დაუშრობელ ცოდნის წყაროვ,
შენ მასწავლე დედაენა
ბულბულივით ტკბილი სტვენა.

შენგან ვიცი ჭირნახული
საქართველოს ძველი დღენი.
შენს ფურცლებზე ჩემთვის უცნობ
საიდუმლოს მივაგენი.

### გაზაფხული

აჭიკჭიკდნენ ჩიტუნები,
აფუსფუსდნენ მერცხლები,
დათუნიამ ბუნაგიდან
გამოყარა ბელები.

გეყოთ ძილი, ზარმაცებო,
ნუღარ ლოკავთ თათსაო,
წადით, ველი მოიარეთ,
იქნებ შეხვდეთ თაფლსაო.

**ნინო ჟღენტი,**
თბილისის რესპუბლიკური ექსპერიმენტული საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძვირფასო რედაქციავ!

ჩვენი სკოლის პიონერებმა მასწავლებლებთან, პიონერხელმძღვანელთან და მშობლებთან ერთად განვიხილეთ „პიონერის" წლევანდელი წლის მე-4 ნომერში გამოქვეყნებული წერილი თამაზის შესახებ. ყველამ ერთსულოვნად დაგმო თამაზისა და მისი მშობლის საქციელი.

სწავლა, ცხადია, მოსწავლის უპირველესი მოვალეობაა, მაგრამ საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობაც სავალდებულოა — სწავლა და შრომა ხომ განუყოფელია! ჩვენი აზრით, მოსწავლე მაშინ არის სანიმუშო, როცა კარგადაც სწავლობს და საერთო შრომაშიც თავგამოჩენილია.

დარწმუნებული ვართ, თამაზის დედას მეტი შეგნება რომ გამოეჩინა, მისი შვილი ტოლ-ამხანაგებს მხარს აუბამდა ყოველდღიურ სასარგებლო საქმიანობაში და მართლაც თითით საჩვენებელი მოსწავლე იქნებოდა.

**მ. ჯოგავა, მ. მინჯია,**
ქ. გალის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეები.




ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №18

## თუ მეგობრულ ხელს გაუწვდიან

თამაზი პირწავარდნილი ეგოისტია, მას ხომ საკუთარი თავის გარდა არაფერი ადარდებს! წარმოდგენილი მაქვს, როგორ ჰყვება იგი ლიტერატურის გაკვეთილს, როგორ მსჯელობს, ვთქვათ, თორნიკე ერისთავზე. ბოლოს, ალბათ, ასე დაასკვნის: „ეს ნაწარმოები გვასწავლის, ვიყოთ ისეთი, როგორიც იყო თორნიკე", დიახ, ის ასე იმსჯელებს გაკვეთილის მოყოლისას. მაგრამ ნუთუ არ უფიქრდება, რომ მის სიტყვებსა და საქციელს შორის დიდი ზღვარია? ნუთუ მხოლოდ იზუთხავს გაკვეთილს, რათა ხუთიანი მიიღოს?

ჩვენს კლასში არავინ არის თამაზისნაირი. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ჩვენს მასწავლებლებსა და მშობლებს.

სწორ გზაზე თამაზის დაყენება კიდევ შეიძლება, თუ მას მეგობრულ ხელს გაუწვდიან ამხანაგები, თუ იგი გულისყურით წაიკითხავს მის შესახებ თანატოლთა წერილებს, რომლებიც „აისის" ფურცლებზე ქვეყნდება.

**მთვარისა ფუხაშვილი,**
ქარელის რაიონის ფცის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

## ვეთანხმები თამაზის ამხანაგებს

„აისის" ფურცლებზე გამოქვეყნებულმა წერილმა ფრიადოსანი თამაზის საქციელის შესახებ ჩვენი — პედაგოგების დიდი ინტერესი გამოიწვია. ყველა ჩვენგანისათვის საგულისხმოა თამაზის თანაკლასელთა გულისტკივილით ნათქვამი: მასწავლებლებისაგან სულ მისი ქება გვესმის, თამაზი სანიმუშოა, თამაზი სკოლას ასახელებსო. ჩვენ კი მის ასეთ სახელს, ცოტა არ იყოს, ამრეზით ვუყურებთ, რადგან თამაზი საზოგადოებრივ შრომას გაურბის, მოსწავლეთა კოლექტივისაგან განზე დგასო.

სავსებით ვიზიარებ თამაზის ამხანაგების გულისტკივილს, მათ შეხედულებას სამაგალითო მოსწავლეზე.

რა თქმა უნდა, მოსწავლე უნდა ასახელებდეს თავის კლასს, სკოლას მაღალი აკადემიური მაჩვენებლებით, მაგრამ მხოლოდ ეს როდია საკმარისი. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის, რომ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს დადგენილებით, საშუალო სკოლის კურსდამთავრებული მოსწავლე, რომელსაც ყველა საგანში აქვს შეფასება „ფრიადი", არ დაჯილდოვდება ოქროს მედლით, თუ იგი არ არის საზოგადოებრივ საქმიანობაში, კლასგარეშე და სკოლისგარეშე ცხოვრებაში აქტიური და ინიციატივიანი.

კარგად სწავლა იგივე შრომაა, მაგრამ — ცალმხრივი. შრომითი საქმიანობა უფრო დიდ მასშტაბებს გულისხმობს.

სანიმუშო მოსწავლე ის არის ვინც ფრიადზე სწავლობს, ამასთან კარგად უვლის სასკოლო ოთახს, სკოლის ეზოს. რგავს, რწყავს, თოხნის თუ ბარავს თავის მეგობრებთან ერთად.

აბა როგორ შეიძლება სამაგალითო მოსწავლე ვუწოდოთ იმ ფრიადოსანს, რომელიც თავს არიდებს მეხუთე შრომით მეოთხედს? დარწმუნებული ვარ, თამაზს დედამისი არამც და არამც არ გაუშვებს კოლმეურნეობაში სამუშაოდ. იქ კი რამდენი სიხარულია, ხალისი, ჯერ კიდევ გამოუცდელი მარჯვენით მოპოვებულის დაფასება, უფროსების პატივისცემა, დამოუკიდებელი ნაბიჯების სიმტკიცის შეგრძნება!

მედიდურობას, ამპარტავნობას არასოდეს ჰქონია კარგი ბოლო.

ქართველი ხალხი ოდითგანვე დაუღალავი მშრომელი იყო. სწორედ შრომის უდიდესმა სიყვარულმა გამოატარა იგი საუკუნეთა ქარცეცხლში და საპატიო ადგილი დაუმკვიდრა დღევანდელ ეპოქაში.

ჩვენს დიდ მომავალს ნასწავლი და გამრჯე ადამიანები სჭირდება, ისეთები, როგორიც გაიზრდებიან თამაზის ამხანაგები.

**ლეილა ტორონჯაძე,**
თბილისის 143-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი.



# ჰკარ დე ნახე

**არჩილ გურასპაული** მოთხრობა მხატვარი **იოსებ სამსონაძე.**

— შენი ჭირიმე, სოლომონ, ბალღს ყური მიმიგდე, შენს გახარებას. ჯერ პატარაა, გამოუცდელი. ამ ქვეყნის წაღმა-უკუღმართობისა არა გაეგება რა. სიბრიყვემ არ წასძლიოს და თავი არსად წააგოს. შვილივით გაუფრთხილდი, ნუ დამიმდუღრავ დედის გულს.

— ნუ გეშინია, მართა, დიდ ომში ხომ არ მივდივართ? მოთარეშეებს კურდღლებივით დავიფრენთ, ღმერთმა ქნას და, იქნებ შებრძოლებაც კი არ მოგვიხდეს, ჩვენი დანახვისთანავე თავქუდმოგლეჯილებმა მოკურცხლონ. ბიჭიც ცოტა თვალს გაახელს, გამოიცდება, თანაც მაგის ტოლები სხვანიც მოდიან.

— რა ვიცი, ქა. მეკი მეშინია და. შენი იმედით ვრჩები, ჩემო სოლომონ, რა მომასვენებს, ვიდრე არ დაბრუნდებით. ჩემი კაციც იმ ურჯულოებმა შეიწირეს და, ხომ იცი, ეგ ბიჭიღა დამრჩა ნუგეშად და იმედად.

— ეგეთი შვილის შემყურემ შიში გულში არც უნდა გაივლო. აი, ნახავ, თედო მამის სისხლსაც აიღებს და გამარჯვებულიც დაგიბრუნდება.

— ღმერთმა გისმინოს, ჩემო ძმაო. თუკი დედის გულს გაახარებს, მეც ეგ არ მინდა? აი, მოდის კიდეც, ენაცვალოს დედა.

ჭიშკარში ცხენზე ამხედრებული გამოვიდა სახეშეღინღლილი ჭაბუკი. კრძალვით გაუღიმა სოლომონს, მოსიყვარულე თვალით დახედა დედას. ცხენიდან გადმოიხარა და ხუჭუჭთმიანი თავი მშობლის ხელებს მიანდო.

— აბა, შენ იცი, შვილო, ფრთხილად იყავი. როგორც დაგარიგე, ისე მოიქეცი. სოლომონ ძიას დაუჯერე, გვერდიდან ნუ მოშორდები, გამოცდილი კაცია.

— ნუ გეშინია, დედი, მტერი ვერაფერს დამაკლებს, ჩემზე ნუ ინაღვლებ.

თედომ ცხენს მათრახი გადაჰკრა და ჭენებით გამოუდგა წინ წასულ სოლომონს.

მალე წამოეწივნენ სალაშქროდ მიმავალ თანასოფლელებს. გუნდი ჭერმის ხევის თავზე გაწოლილ ბილიკზე გაიჭიმა და მხიარული გადაძახილით ჩაჰყვა დაღმართს. მალე მეწინავეებმა ალაზნის ველზე მიმავალი ქართველთა ლაშქარი შენიშნეს და ჭენებაზე გადავიდნენ წინ წასულთა წამოსაწევად. უკანა რიგებში მყოფმა თედომ თავი ვერ დაიოკა, ცხენს შეუძახა, ბილიკის თავზე შეაგდო და წინ მიმავალთ წამოეწია. მისმა ტოლებმა იწყინეს მისი გასწრება, ცხენებს დასჭყივლეს და ღორღიან დაღმართზე გაიშალნენ. უფროსებს თვალები გაუბრწყინდათ, სიდარბაისლე დაივიწყეს და თვითონაც თავდავიწყებული ჭენებით გამოუდგნენ წინ გაჭრილ ჭაბუკებს.

სამხრობისას ლაშქარმა ალაზნის პირას ჩამოიქვეითა. ცხენები საბალახოდ გაუშვეს, თვითონ ჯგუფ-ჯგუფად დასხდნენ ხალიჩასავით რბილ ბალახზე. ჩამოარიგეს ხრაშუნა შოთის პურები და დათვის ბელებივით გამოაგორეს ღვინით დაბერილი ტიკები.

ნასამხრალზე ლაშქარი წამოიშალა. ცხენები შეკაზმეს, ამხედრდნენ და სიღნაღის ციხე-ქალაქისაკენ დაიძრნენ.

— სოლომონ ძია, ის რა არის, შავად რომ მოჩანს მთების ძირში? გეგონება, ნახანძრალიაო.

— გადამწვარი სოფელია, შვილო, აქედანვე ეტყობა, რა უბედურება დასტყდომიათ საცოდავებს.

— ნეტა გადარჩებოდა მაინც ვინმე?

— თუ დროზე შენიშნეს მოთარეშეები, მოასწრებდნენ გახიზვნას, მაგრამ საეჭვოც არის: მოულოდნელად, ჩუმად იციან სოფელზე დაცემა იმ ურჯულოებმა.

— გამიგონია, ბავშვებსაც უწყალოდ ხოცავენო. რა ვაჟკაცის წესია ბავშვზე ხელის ამართვა!

— არ ინდობენ არც ბავშვს, არც ქალს, ეგ წყეულები, — ლაპარაკში ჩაერია გვერდით მომავალი, თეთრ იაბოზე ამხედრებული შუახნის კაცი. — სადამდის შემოუღწევიათ მაგ ტიალებს! ალბათ სიღნაღის ციხესაც შემოადგნენ, იმიტომ ვერ გამოსულა სოფლებში მშველელი, თორემ აქამდე ვინ გამოუშვებდა.

— ალბათ ეგრე იქნება.

— საღამომდის ჩვენც ჩავეშველებით. ერთიც არ უნდა გავუშვათ ამბის მთხრობელი.

— ნეტავ როგორები არიან ურჯულოები, სოლომონ ძია, ჰა? ჩვენ თუ გვგვანან, ან იმათაც წითელი სისხლი თუ უდგათ?

თეთრ იაბოზე ამხედრებულმა გულიანად გადაიხარხარა.

—ეგ ხმალი ხომ კარგადა გაქვს გალესილი, ყმაწვილო?

— ბუზი აეგება წვერზე.

— ჰოდა, შენც აიღე და, მტერი რომ წინ დაგიდგება, ეგ ხმალი მკერდში ჰკარ და ნახე მერე შენი თვალით, როგორი სისხლიც უდგათ.

— ვკრავ კი არადა, შუაზე გავკვეთავ, თუ რომელიმე გადამეყარა.

— ო, ჰო, ჰო! ეს რა ღონიერი ბიჭი წამოგიყვანია, ჩემო სოლომონ, იქნებ ი მოთარეშეები სულ ამან დახოცოს და ჩვენ აღარც კი შეგვხვდეს!

უეცრად მათთან ერთმა მხედარმა მოაგდო ცხენი.

— მზირებმა მოთარეშეთა გუნდი ნახეს მაყვლიანის ძირას. ნადავლი და ტყვეები მიჰყავთ თურმე. სარდალმა გიბრძანა, ჭერემელებისა და ვაზისუბნელების რაზმით დაუხვდეთ, და არც ერთი არ გაუშვათ ცოცხალი.

სოლომონმა ლაშქრისაკენ შემოაბრუნა ცხენი, ხელი მაღლა ასწია და მისი ხმა გრგვინვასავით გაისმა:

— ჭერემელებო და ვაზისუბნელებო, ლაშქარს გამოეყავით!

ორი სოფლის მებრძოლთა გუნდი სამხრეთისაკენ მიბრუნდა და აღმართს შეუყვა. სოლომონი მალულად შეჰყურებდა გვერდით მიმავალ თედოს. მალე მტერთან შეჯახება იყო მოსალოდნელი. ფიქრობდა მასზე და სალაშქროდ წამოსულ სხვა უწვერულ ჭაბუკებზეც. უკვირდა და თან უხაროდა, თედოს სახეზე შიშის ნაცვლად სიხარულს რომ ხედავდა.

უნაგირზე ნახევრად შემობრუნდა, თვალით მოძებნა ერთ-ერთი თანასოფლელი და განზრახ ხმამაღლა გასძახა, რათა სხვებსაც გაეგონათ.

— ივანე! იქნებ ე ყმაწვილკაცობა უკან ჩამოვიტოვოთ. გამოუცდელები არიან. რა ვიცით, რა მოხდება.

მოლაშქრენი აყაყანდნენ. ზოგმა მხარი დაუჭირა სოლომონს, ზოგმა მისი შიში არაფრად ჩააგდო.

ივანემ უდარდელი სიცილით შემოხედა.

— თვითონ გადაწყვიტონ. თუ ეშინიათ, დარჩნენ.

ეშინიათო? ამან უფრო გაახელა ახალუხლები, აყვირდნენ. მათი სიბრაზისა და ყვირილისაგან აჭარხლებული სახეების შემყურე მხედრებმა თავი ვერ შეიკავეს და რაზმს ერთობლივმა სიცილ-ხარხარმა გადაუარა.

მთის კალთას მიღწეულებმა ტყის პირას მტრის ორი ცხენოსანი დალანდეს. გზის დასაზვერად თუ იყვნენ გამოგზავნილები. ქართველი მოლაშქრეების დანახვისთანავე ცხენები უკან მიაბრუნეს და მოკურცხლეს.

გამოცდილი წინამძღოლი მიხვდა, რომ მოთარეშეთა რაზმიც იქვე ახლოს იქნებოდა. არ უნდა ეცალათ მათთვის საბრძოლოდ მომზადება. მომყევითო, შესძახა, ცხენს დეზი ჰკრა და გააჭენა.

ბექობის თავზე ასულებმა წამსვე თვალი მოჰკრეს ალაზნის მიმართულებით მიმავალ, ნადავლით დატვირთულ მოთარეშეებს. ბღაოდა მოტაცებული პირუტყვი, მილასლასებდნენ ტყვეები.

მზვერავები მათკენ ყვირილით მიაჭენებდნენ ცხენებს. მტრის რაზმში არევდარევა შეიქნა. გაისმა უცხო ენაზე გაცემული პირველი ბრძანება. მხედრებმა უკანა რიგებიდან წინ გადმონაცვლება დაიწყეს.

სოლომონმა გაშიშვლებული ხმალი შემართა და წინ გაიჭრა.

— ჰკა მაგას! — დასჭყივლეს ქართველებმა, აელვარებული ხმლებით გაქანდნენ მტრისაკენ, მიწას გააკრეს ცხენები.

სულ მალე ორი აღრიალებული ტალღა შეასკდა ერთმანეთს. მიწაზე გაგორდა პირველი მოსხეპილი თავი, ცხენიდან გადმოვარდა ხმლით დაჩეხილი სხეული.

სოლომონმა თვალიდან დაკარგა წინ გაჭრილი თედო. გვერდით ივანე და მისი ვაჟი იბრძოდნენ. სოლომონი შეშფოთდა: ჩქარა უნდა მოძებნოს თედო, გაუფრთხილდეს. გაფიცხებულმა შეუტია წინ აღობებულ მოძალადეს, რამდენიმე ძველი ფანდი იხმარა, მაგრამ, ეტყობოდა, არც მოწინააღმდეგეს აკლდა გამოცდილება — მედგრად დაუხვდა ფიცხელ შემოტევებს. მაშინ სოლომონმა მისი მოკვლა გადაიფიქრა და ხმალი თვალწინ მოქანავე მარჯვენას უსწორა. მაჯაში მოკვეთილი ხელი ხმალთან ერთად ცხენთა ფლოქვისაგან მოთელილ ბალახზე დაეცა. მოთარეშემ სიმწრისაგან დაიღრიალა. ცხენი მიაბრუნა და გაიქცა. სოლომონმა ყური არ ათხოვა ივანეს ძახილს, მტერი ცოცხალი რატომ გაუშვიო, წინ გაიჭრა და თედოს დაუწყო ძებნა.

ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა. ქართველები გაქცეულ მტაცებლებს გამოუდგნენ. თედო არსად ჩანდა, სოლომონმა მას ვერც მდევრებში მოჰკრა თვალი. განთავისუფლებული ქართველი ტყვეები დაჭრილებს მისეოდნენ, მოხერხებულ ადგილზე აწვენდნენ, ჭრილობებს უხვევდნენ. სოლომონმაც სწორედ აქ იპოვა მართას ერთადერთი შვილი.

მკერდდაკოდილი თედო გულაღმა იწვა. ორი ქალი ფრთხილად უხვევდა ჭრილობას. სოლომონმა სიმწრით დაიკვნესა, ცხენიდან ჩამოხტა და დაჭრილთან მიირბინა. აკანკალებული ხელები მოუფათურა უგრძნობლად მწოლს. გამოცდილი მხედარი ჭრილობის ნახვისთანავე მიხვდა უბედურ დასასრულს. ქალივით აქვითინდა ლომგული ვაჟკაცი.

— შენი შვილია? — ჩაჰკითხა გვერდით ჩაჩოქილმა მოხუცმა.

სოლომონმა თავი ასწია, თვალი მოავლო გარს მოჯარულ ნატყვევარებს. ყველას თანაგრძნობა ეწერა სახეზე.

— დედისერთაა ეს უბედური, მამაც მაგ ურჯულოებმა მოუკლეს.

ხალხში ვიშ-ვიში გაისმა. მოხუცმა სახეზე წყალი აპკურა მომაკვდავს.

თედომ ნელა გაახილა თვალი, სოლომონს მიაჩერდა, ბაგეებზე ღიმილმა გადაუქროლა, სუსტად დაილაპარაკა:

— შენა ხარ, სოლომონ ძია? მაპატიე, ურჩობა რომ გაგიწიე. ორი მოვკალი, მესამემ კი...

დაჭრილი მიჩუმდა, თვალები მილულა. ჩაჩოქილი სოლომონი მოლოდინით დასჩერებოდა.

— დედა მეცოდება, სოლომონ ძია, ვინღა დარჩა ნუგეშისმცემელი. უთხარი, ბევრს ნუ იტირებს, მე ხომ სამშობლოსათვის ვკვდები.

— ჰო, შვილო!..

— გახსოვს, იმ კაცმა რომ მითხრა, ჰკარ და ნახეო. ვნახე, იმათაც წითელი სისხლი ჰქონიათ, ჩვენსავით. ნეტა ან ჩვენ რადა გვხოცავენ ან თავს რად გვახოცინებენ. იმათაც ხომ ჰყავთ დედა... დედა.

დაჭრილმა თავი გადააქნია და გათავდა. ხალხმა ღრმად ამოიოხრა, სოლომონი მიცვალებულს დაემხო და მწარედ აქვითინდა.

ჰკარ და ნახე! ეს თქმა ლეგენდასავით გავრცელდა ხალხში. შემდგომში ორივე სიტყვა შეერთდა და იმ ადგილზე გაშენებულ სოფელს შერჩა სახელად კარდანახი.



მეჯლისს დაესწრნენ და პითაგორას ნაამბობი ჩაიწერეს გიორგი თოფაძემ და თამაზ ებანოიძემ.

# მეჯლისი პრინცესასთან




მხატვარი შადიმან ჭაჭავაძე.

პრინცესა **არითმეტიკას** ღვიძლი და — **გეომეტრია** და დეიდაშვილი ქალები — **ფილოსოფია** და **მუსიკა** ეწვივნენ. პრინცესა დიდად გაახარა ამ სტუმრობამ—დეიდაშვილები ბავშვობიდანვე მისი გულითადი მეგობრები იყვნენ.

სტუმრების პატივსაცემად გაიმართა მეჯლისი, რომელზეც პრინცესას განკარგულებით ყველა **ნატურალური რიცხვი** მოიპატიჟეს. დაუსრულებელ ნაკადად მოედინებოდნენ ისინი **არითმეტიკის** დიდებულ დარბაზში.

აი თავმომწონედ მოაბიჯებს **ერთი:** მას წილად ხვდა პატივი პირველი შემოსულიყო დარბაზში და პრინცესასა და მის სტუმრებს მისალმებოდა. **ერთს** მოჰყვებიან **ორი, სამი, ოთხი** და ა. შ. როგორ არ ჰგვანან ისინი ერთმანეთს.

დაიწყო ცეკვები. თითქმის ყველა **რიცხვი** მონაწილეობდა ზეიმში.

გამხიარულებულმა დიასახლისმა უცბად შენიშნა, რომ რაღაცით შეფიქრიანებული **მუსიკა** გაოცებით შესცქერის ხან ერთ, ხან მეორე **რიცხვს**, ათვალიერებს ჯგუფებს, რომლებშიც ისინი გაერთიანებულან.

— რა იყო, გენაცვალე, რატომ არ მოილხენ, შეხედე, როგორი მრავალფეროვნებაა! — მიმართა მას **არითმეტიკამ.**

— ჩემო კარგო, სწორედ მაგ მრავალფეროვნებამ დამაფიქრა. შენი კარისკაცები ისე უცნაურად იქცევიან, ვერაფერი გამიგია.

— მერედა, რატომ გაკვირვებს ეს? ისინი ხომ ყველა სხვადასხვანი არიან, ერთმანეთისაგან განირჩევიან არა მარტო გარეგნობითა და საზოგადოებაში მდგომარეობით, არამედ ხასიათითაც. გინდა, ზოგი რამ გიამბო მათ შესახებ? — ჰკითხა პრინცესამ და ნაზად აკოცა დეიდაშვილს.

— ძალიან მადლობელი ვიქნები. ვფიქრობ, შენი მონათხრობი **გეომეტრიასა** და **ფილოსოფიასაც** დააინტერესებს. ასე არ არის, ჩემო ძვირფასებო?—მიუბრუნდა **მუსიკა გეომეტრიასა** და **ფილოსოფიას**, რომლებიც აგრეთვე ყურადღებით აკვირდებოდნენ რიცხვებს.

— რაღა თქმა უნდა, რაღა თქმა უნდა, — გამოეხმაურნენ ისინი, — ეტყობა, ჩვენ თვითონ ვერ გავერკვევით.

— მაშ კარგი, მე მგონია, დავაკმაყოფილებ თქვენს ცოდნისმოყვარეობას, — თქვა **არითმეტიკამ.** — თუმცა, მოიცათ, აი რა მოვიფიქრე: მოდით, ვთხოვოთ პითაგორას, ჩემს მაგიერ მან გააკეთოს ეს. მისთვის ხომ **რიცხვითი სამყაროს** ყველა საიდუმლო ცნობილია.

დობილები მშვენივრად იცნობდნენ პითაგორას — ის არაერთხელ ყოფილა მათთან. ოთხივე მასთან მივიდა.

— ბრძენო პითაგორა, — მიმართა პრინცესამ, — ჩვენი სტუმრები ჩემი კარისკაცებით დაინტერესდნენ. დავაპირე, ზოგი რამ მეამბნა ამ, როგორც ესენი ამბობენ, თავისებური სამყაროს შესახებ, მაგრამ გადავიფიქრე, — შენ ხომ ამას ჩემზე გაცილებით უკეთ შეძლებ. ჰქონი სა-

კეთე, ნუ გვეტყვი თხოვნაზე უარს; მეც სიამოვნებით მოგისმენ — შენ უთუოდ ახალი ამბებიც გეცოდინება.

— დიდი სიამოვნებით, ძვირფასო პრინცესა, მზადა ვარ თქვენდა სამსახურად; — თავის დაკვრით მიუგო პითაგორამ და დაიწყო თხრობა.

— ქვეყნად არაფერი არ არის **რიცხვებზე** საინტერესო! ყოველი **რიცხვი** განუმეორებელია და მთელი რიგი შესანიშნავი თვისებაც აქვს. მაგალითისათვის **რიცხვი ერთი** ავიღოთ. თქვენ, რასაკვირველია, შენიშნავდით, რა ამაყად შემოვიდა დარბაზში. ჩვენს **ერთს** აქვს ამის უფლება — ის პირველია **ნატურალურ რიცხვთა** მწკრივში და საოცარი თვისებებით გამოირჩევა: მასზე იყოფა ყოველი **ნატურალური რიცხვი**, ის კი მარტო თავის თავზე იყოფა — და ის ერთადერთი რიცხვია, მხოლოდ ერთი გამყოფი რომ გააჩნია. საგულისხმოა, რომ **ერთზე** გაყოფისა და გამრავლებისას სხვა რიცხვები არ იცვლებიან. მას ყველა პატივსა სცემს და აფასებს. ის ტ ო ლ ო ბ ა ს ასახიერებს, მაშინ როცა ორი უ ტ ო ლ ო ბ ი ს დასაწყისია. შესანიშნავი თვისებებისაა **სამი**: იმის გარდა, რომ **სამკუთხა** რიცხვად ითვლება, ის პირველი კენტი მარტივი რიცხვია. მაგრამ ესეც ცოტაა: **სამი** წინა **რიცხვების** ტოლი ერთადერთი რიცხვია: 1+2=3. საინტერესო თვისებები აქვთ **ოთხსა და ხუთს.** მაგრამ **რიცხვ ექვსის** თვისებები კიდევ უფრო შესანიშნავია. შეხედეთ, რა მედიდურად დასეირნობს დარბაზში, თავის უპირატესობას რომ გრძნობს.



— რაში გამოიხატება ეს უპირატესობა? — იკითხა **ფილოსოფიამ.**

— იმაში, რომ ეს რიცხვი საკუთარი გამყოფების ჯამის ტოლია: მისი გამყოფებია 1, 2, 3, რომელთა ჯამია 1+2+3=6. ეს ხომ სრულყოფილობაა! მე მას ასეც ვუწოდებ: **სრულყოფილი რიცხვი.**

— საუცხოოა! ნუთუ სხვა ასეთი **რიცხვები** აღარ არის? — იკითხა **გეომეტრიამ.**

— არის, — ღიმილით უპასუხა პითაგორამ, — მაგრამ ისინი ერთობ ცოტანი არიან. ეს ბუნებრივიც არის: სრულყოფილობა ხომ სილამაზეა, სილამაზე კი, სამწუხაროდ, არც ისე ხშირად გვხვდება. მე ვიცნობ ო თ ხ სრულყოფილ რიცხვს — ერთი ერთნიშნა — 6, ერთი ორნიშნა — 28, ერთი სამნიშნა — 496 და ერთიც ოთხნიშნა — 8128. ვფიქრობ, რომ ხუთ და ექვსნიშნა რიცხვებს შორის **სრულყოფილი** არ გვხვდება. შეამჩნიეთ თუ არა, რომ ჩემ მიერ დასახელებული ყველა **რიცხვი** ლუწია? ჯერჯერობით ვერ მოვახერხე ვერც ერთი კენტი **სრულყოფილი რიცხვის** მოძებნა. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი რიცხვები არც არსებობენ.

— ეს მართლაც რომ შესანიშნავია! — შესძახა **ფილოსოფიამ** და **არითმეტიკისაკენ** მიბრუნებულმა სთხოვა:—ძვირფასო, დაავალე შენს მსახურებს, განაგრძონ **სრულყოფილი რიცხვების** ძებნა!

— რასაკვირველია, რასაკვირველია, ჩვენი პატივცემული პითაგორას გამოკვლევები გაგრძელდება, — თქვა **არითმეტიკამ,** მერე ეშმაკურად მოჭუტა თვალები და ჰკითხა დობილებს: — ნუთუ თქვენ არ გაოცებთ **რიცხვ** 220-ის და **რიცხვ** 284-ის წყვილების ყოფაქცევა?

— როგორ არა, — გამოეპასუხა **მუსიკა,** — მე მაშინვე შევნიშნე, რომ ეს ორი **რიცხვი** სულ ერთად არის, მაგრამ რა მიზეზით — ეს კი არ ვიცი.

— ესენი ნამდვილი მეგობრები არიან, — აუხსნა პითაგორამ, — მათ ვერავინ დააშორებს. ამ **რიცხვებს** მე **მეგობრულს** ვეძახი და აი რატომ: ყოველი მათგანის საკუთარ გამყოფთა ჯამი მეორის ტოლია. აი, ინებეთ **რიცხვ** 220-ის საკუთარი გამყოფები: 1, 2, 4, 5, 10, 11, 20, 22, 44, 55, 110; მათი ჯამი უდრის 284-ს: $1+2+4+5+10+11+20+22+44+55+110=284$; ხოლო 284-ის საკუთარი გამყოფებია **რიცხვები** 1, 2, 4, 71, 142; მათი ჯამი 220-ის ტოლია: $1+2+4+71+142=220$. ამას წინათ ერთმა კაცმა მკითხა — რა არის მეგობარიო. მე ვუპასუხე: „მეგობარი — ეს მეორე მეა“ და მაგალითად რიცხვები 220 და 284 დავუსახელე. თქვენ, ალბათ, გაინტერესებთ, არსებობს თუ არა მეგობრულ რიცხვთა სხვა წყვილები. დიახ, კიდევ სამ ასეთ წყვილს ვიცნობ, ისინი დარბაზის ბოლოში არიან; მაგრამ ძალიან დიდი **რიცხვებია.**

— მე კიდევ იმას დავაკვირდი, რომ **რიცხვები** რაღაც უცნაურად დაწყვილდნენ, როცა ცეკვები დაიწყო. თუნდაც 11 და 13, 17 და 19, 29 და 31. აი, 5 კი ხან 3-თან ცეკვავდა, ხან 7-თან. რატომ? — დაინტერესდა **გეომეტრია.**

— ოჰ, ეს სულ ადვილი ასახსნელია, — გაეღიმა პითაგორას, — ცეკვავდნენ მხოლოდ მარტივ **ტყუპ რიცხვთა** წყვილები. თქვენ ხომ იცით, რომ თუ $p$ და $p+2$ რიცხვები მ ა რ ტ ი ვ ი ა, მაშინ მათ **ტყუპებს უწოდებენ.** აი სწორედ ასეთი **რიცხვები** გაერთიანდნენ. რაც შეეხება **რიცხვს** 5-ს, ის **რიცხვ** 3-ის ტყუპის ცალიც არის და **რიცხვ** 7-საც, ამიტომაც ხან ერთთან ცეკვავდა, ხან მეორესთან.

— ოი, ამას როგორ ვერ მივხვდი? მე ხომ ძალიან კარგად ვიცი **მარტივი რიცხვები,** — სინანულით წარმოთქვა **გეომეტრიამ.**

— არა უშავს, ჩემო დაო, — ანუგეშა ის **არითმეტიკამ,** — ნუ დარდობ. სჯობია მადლობა გადავუხადოთ ჩვენს პატივცემულ პითაგორას და საცეკვაოდ წავიდეთ.

ყველამ მხურვალე მადლობა უძღვნა პითაგორას; მან კი, თავის მხრივ, აღუთქვა მათ, რომ კვლავაც ერთგულად ემსახურება მისი გულის რჩეულებს—**არითმეტიკას, გეომეტრიას, ფილოსოფიასა და მუსიკას.**



# საფარა

## პასუხი 1975 წ. № 8-ში დასმულ კითხვებზე

საფარის ცნობილი მონასტერი საქართველოს ერთ-ერთ უძველეს პოლიტიკურ-კულტურულ ცენტრში — სამცხეში, ახალციხის მახლობლად (10-12 კმ დაშორებით სამხრეთ-აღმოსავლეთით, მთაში) მდებარეობს. მონასტრისაკენ მიმავალი გზა ახალქალაქის სამანქანო გზატკეცილიდან მარცხნივ უხვევს და აღმართს მიუყვება უღელტეხილისაკენ, რომლის გადალახვისთანავე ძველი ქართული სოფელი ღრელი— ერთადერთი დასახლება — შეგხვდებათ საფარის მონასტრის უკაცრიელ სანახებში. ღრელიდან საფარამდე 3-4 კმ-ია. მიდიხარ ვიწრო, ხრიოკი გზით და უეცრად ეწვანეში ჩაფლული მონასტრის მრ ენაგებობიანი კომპლექსი გადაგეშლება თვალწინ, რომელიც, როგორც ადგილის სილამაზით, ისე ხუროთმოძღვრული თავისებურებითაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

საფარის მონასტრის შესახებ ცნობები ძველ ქართულ წერილობით წყაროებში, სამწუხაროდ, არ მოიპოვება. ვახუშტი ბატონიშვილსაც ბევრი არაფერი აქვს ნათქვამი ძეგლის შესახებ თავის ნაშრომში („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“), იგი აღნიშნავს მხოლოდ, რომ „...არს საფარას მონასტერი, შუენიერად დიდშენი, გუმბათიანი, ყოვლადწმიდისა. ეს იყო შემკული ყოვლითა საეკლესიო და წმიდათა ნაწილებითა, და დაეუფლოდნენ ათაბაგნი, და აწ არს ხუცის ამარ“-ო. ამდენად, ჩვენს ხელთ არსებული წყაროებით სადღეისოდ არ ძალგვიძს ვთქვათ, თუ როდის იქნა საფარაში პირველად აგებული ტაძარი. მიუხედავად ამისა, სახელწოდება საფარა წერილობით წყაროებში უკვე IX საუკუნიდან გვხვდება. მაგალითად: გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოხსენიებულია ქართლის კათალიკოსი არსენი დიდი, „რომელი იყო სანახებთაგან სამცხისთა საფარით“ და რომელსაც მიეწერება ისტორიულ-პოლემიკური თხზულების „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“ შექმნა. არსენი კათალიკოსობდა 27 წელს (860-887). გარდა ამისა, X-XII საუკუნეების განმავლობაში ჩვენ რამდენსამე საეკლესიო მოღვაწეს ვხვდებით, რომელნიც საფარასთან არიან დაკავშირებული. ესენი არიან: 968 წელს, ივანე საფარელი, რომელსაც იერუსალიმში გადაუწერია იოანე ოქროპირის ცხოვრება. იოვანე საფარელი დეკანოზი, რომელსაც 1040 წელს გადაუწერია ერთი ხელნაწერი, იმავე XI საუკუნეში ბაგრატ IV-სა და გიორგი II დროს მოღვაწეობდა გაბრიელ საფარელი, რომელსაც ქართლის კათალიკოსის ტიტულით იხსენიებს მატიანე. XII საუკუნის მიწურულში კი იოანე მტბევარ-საფარელი, რომელსაც ტბეთისა და წყაროსთავის სახარება მოუჭედვინებია. ზემომოყვანილი მონაცემების საფუძველზე შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ საფარაში ჯერ კიდევ IX საუკუნეში, ან უფრო ადრეც ღვიოდა სასულიერო-კულტურული ცხოვრება, რომელიც იქამდე განვითარებულა, რომ შემდგომ, თითქოს საეპისკოპოსო კათედრადაც კი ქცეულა. ეს ბუნებრივიც უნდა იყოს, რადგან სამცხე არა მარტო პოლიტიკურ-ეკონომიურად იყო დაწინაურებული, არამედ კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერასაც წარმოადგენდა. ამაზე მეტყველებს დღემდე შემორჩენილი მატერიალური თუ სულიერი კულტურის მრავალი ძეგლი. გარდა ამისა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ამ კუთხის პირმშო იყო გენიალური შოთა რუსთაველი.

საფარის დღეს არსებული სამონასტრო კომპლექსი, როგორც ჩანს, ერთდროულად არ შექმნილა. აღსანიშნავია ისიც, რომ მას ჩვენამდე თავდაპირველი სახით არ მოუღწევია, რაზეც ცხადად მიუთითებს მერმინდელ გადაკეთე-



ფოტო ვ. ბორისენკოსი.

# იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს?

✱

დახედეთ ამ ფოტოს და მოგვწერეთ სად მდებარეობს ეს ნაგებობა, როდის არის აგებული, ვინ არის მისი ავტორი და საერთოდ, რა იცით მასთან დაკავშირებით.

✱

ბა-აღდგენის კვალი. ანსამბლის უძველეს ნაგებობას მიძინების სახელობის ერთნავიანი ეკლესია წარმოადგენს. იგი კამარით გადახურული დარბაზისა და აღმოსავლეთის მხარეზე მდებარე საკურთხევლის აფსიდისაგან შედგება. დასავლეთით, დარბაზის მთელ სიგანეზე პატრონიკეა მოთავსებული, რომელიც წყვილ, მრგვალ სვეტზე გადაყვანილ სამ თაღზეა დამყარებული და ქალების ან წარჩინებულთა (ადრეულ ხანაში მგალობელთა და მოუნათლავთა) სამყოფელს წარმოადგენდა. დასავლეთისავე ფასადზე ეკლესიას ყრუ კარიბჭე აქვს მიშენებული, რომელსაც ადრე სამხრეთის მხრიდან, ამჟამად ამოქოლილი, შესასვლელი ჰქონდა. იქ ახლა მხოლოდ თაღოვანი სარკმელია. ეკლესიის ინტერიერი (შიგა სივრცე) შესანიშნავი ჩუქურთმებით იყო შემკული, რომელიც XIX საუკუნის მიწურულში შეულესავთ და შეუღებიათ. ყურადღებას იპყრობს ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლების, აგრეთვე პატრონიკეს საყრდენი სვეტისთავების ორნამენტული სამკაული.

საკურთხეველში და პატრონიკეს ქვეშ შერჩენილია კედლის მხატვრობის ფრაგმენტები, რომელნიც XIV საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. ამ დროს, როგორც ჩანს, საფუძვლიანად შეუკეთებიათ და მოუხატავთ მთლიანად ეკლესიის კედლები ამ მხარის გამგებლის ათაბაგ და მანდატურთუხუცეს ბექას შვილებს სამცხის სპასალარის სარგისის, ყუარყუარესა და შალვას ბრძანებით, რომელთა პორტრეტებიც ყოფილა მხატვრობაში გამოსახული და თავის დროზე მარი ბროსესა და ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შესწავლილი. ამ ეკლესიის ინტერიერის ნამდვილი სამკაული ყოფილა საკურთხევლის მოაჯირი (კანკელი), რომელიც ქართული რელიეფური პლასტიკის სწორუპოვარ ნიმუშს წარმოადგენს. იგი ეკლესიაში XIX საუკუნის 30-იან წლებამდე ყოფილა და აღტაცებაში მოუყვანია ცნობილი მკვლევარი და მოგზაური დიუბუა დე მომპერე. ამჟამად ხსენებული კანკელის ფრაგმენტები საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული და თავისი მაღალმხატვრული ღირსებით მნახველთა აღფრთოვანებას იწვევს. იგი ღია-მომწვანო ფერის რბილი ქვისაგან არის გამოკვეთილი. ცალკეულ ფილებზე საღვთისმეტყველო სცენებია ასახული: „ხარება", „მირქმა", „მარიამისა და ელისაბედის შეხვედრა". ეს სცენები ზედმიწევნით დახვეწილი ორნამენტული წნულით არის მოჩარჩოებული. ქვის ფილებზე ასახული სცენები გამოირჩევა ფიგურების მოხდენილი დაყენებით, მოცულობითი ფორმების სიცხოველითა და მოძრაობათა დინამიკური გადმოცემით.

ტაძარი სარკმელთა მცირე რაოდენობის გამო სუსტად არის განათებული. განათების ძირითად წყაროს წახნაგოვანი გუმბათის რვა სარკმელი წარმოადგენს, მაშინ, როცა ნაგებობის ყოველ ნაწილს თითო სარკმელი აქვს. ტაძრის ინტერიერი მთლიანად მოხატული იყო. ამჟამად იგი ძლიერ დაზიანებულია და ფრაგმენტული სახით არის მოღწეული.

დასავლეთის ფასადზე უაღრესად თავისებური, ორნამენტებით მდიდრულად შემკული კარიბჭეა მიშენებული, რომელიც მნიშვნელოვანი ელემენტია ტაძრის ხუროთმოძღვრული კომპოზიციისა და დეკორატიული სამკაულისა საერთოდ. ტაძრის კედლის მხატვრობა, მიუხედავად იმისა, რომ დაზიანებული და გაჭუჭყიანებულია, XIII-XIV სა-

უკუნეთა ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ რელიგიური სცენების გარდა, სამხრეთის კედელზე წარმოდგენილია წმ. საბას ტაძრის მშენებელთა — ქტიტორთა პორტრეტები. სამცხის ათაბაგი სარგის ჯაყელი (იგივე საბა), რომელიც მოლოზნად აღიკვეცა და საბას სახელი მიიღო, იმ წმინდანისა, რომლის სახელობის ტაძარიც აიგო სარგისის ძის ბექა მანდატურთუხუცესის ბრძანებით, ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში. ტაძრის სხვა მრავალმხრივი საინტერესო წარწერათა შორის აღსანიშნავია ის წარწერა, რომელსაც ხუროთმოძღვრის სახელი შეუნახავს ჩვენთვის. ეს წარწერა მოთავსებულია დასავლეთის კარიბჭის სარკმელზე, სადაც შემდეგი იკითხება: „სრულ იქმნა საყდარი ესე საძირკუელითვე ყოველთა ფერითა ხელითა ფარეზასძისათა შეუნდვენ ღმერთმან“. სწორედ წმ. საბას ტაძრის წარწერების საშუალებით ზუსტდება სარგის სამცხის ათაბაგის პოლიტიკური ცხოვრებიდან გადადგომა და ბერად აღკვეცა XIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში. ამავე ხანაში თვით ტაძარიც აგებული. ეს ის პერიოდია, როდესაც სამცხე საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით დაწინაურებულია ეკონომიკურ-პოლიტიკურად და დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენს, რომლის სათავეში ჯაყელები დგანან. გარდა ხსენებული ტაძრებისა, აქ სხვა ნაგებობებიც არის, რომელთა შორის აღსანიშნავია საფარის მოძღვარ გრიგოლ ნაფშუენის ძის მიერ აგებული მცირე სამლოცველო (წმ. გიორგის სახელობისა), ეკვდერი „წმინდა მამათათვის“, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ დროს (XI-XII სს.) აქ მონასტერი ყოფილა. აქვეა სამმართულიანი სამრეკლო. ხოლო მის გვერდით იოანე ნათლისმცემლის დარბაზული, აღმოსავლეთის მხარეზე ნახევარწრიული აფსიდის ნაცვლად კუთხეებმომრგვალებული მცირე ეკლესიაა. მონასტრის სხვა ნაგებობებიდან რამდენადმე მოშორებით, შესასვლელთან, ზედ კლდის პირას წმ. სტეფანეს სახელობის მცირე, ერთნავიანი ეკლესია დგას. საფარის ანსამბლში ჩვენამდე მოღწეულია კიდევ ერთი საყურადღებო ნაგებობა, რომლის იერსახე იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ იგი შესაძლოა „სასახლე“ იყო. ეს ნაგებობა კლდის ფერდზეა აგებული, წმ. საბას ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით. იგი ძლიერ დანგრეულა. შედგება ორი დიდი, სწორკუთხა დარბაზისაგან. როგორც ფიქრობენ, ეს შესაძლოა ათაბაგთა სასახლე იყო.

XVI საუკუნის დამლევიდან იწყება საფარის თანდათანობითი დაცემა. თურქთა გაუთავებელმა თარეშმა ბოლო მოუღო მთლიანად ამ კუთხის ცხოვრებას. სამეფოს გათურქებასთან ერთად ჩაქრა ნაღვერდალი საფარის სამონასტრო ცხოვრებისა. ამ დროს გააქვთ საფარიდან და სხვა ეკლესია-მონასტრებიდან განძეულობა. საფარის მონასტრის უმთავრესი ხატი (წმ. საბასი) იმერეთში გაუხიზნავთ, სადაც იგი, როგორც ხატის წარწერიდან ირკვევა, აღუდგენიათ 1779 წელს იმერეთის მეფის სოლომონის ბრძანებით. ეს ხატი ამჟამად ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

XIX საუკუნის დამლევს საფარის მონასტერში რუსი ბერები მკვიდრდებიან, რომელთა მოღვაწეობის კვალი ძლიერ დასტყობია ძველნაშენ მონასტერს. ამ დროს შეუთეთრებიათ და შეულესავათ მონასტრის შენობები და კედლის მხატვრობის ნაწილი. ახალი, რუსული გუმბათები დაუდგამთ ეკლესიებისათვის, რომელნიც შემდგომ ძეგლთა დაცვის განყოფილებას მოუხსნია და ძეგლისათვის პირვანდელი იერსახე დაუბრუნებია.

**ირაკლი ჯანდიერი.**



# ჭადრაკი

განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი
**შოთა ინწკირველი**

როგორც ვიცით, თბილისის № 1 რესპუბლიკური ექსპერიმენტული სკოლის გუნდმა ქართველ პიონერთაგან პირველმა მოიპოვა სსრკ ჩემპიონობა (მოგილიოვი, 1974 წ.). წლეულს იგივე გუნდი მეორედ გახდა ჩემპიონი (როსტოვი).

გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს ექსპერიმენტული სკოლის ნორჩ მოჭადრაკეთა შემოქმედებიდან.



ეს პოზიცია შეიქმნა პოგარი (ბელორუსია) — თოფურიას პარტიაში. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს შავები მუდმივი ქიშით უნდა დაკმაყოფილდნენ. თოფურია პოულობს მახვილგონივრულ გაგრძელებას.

1 ... ეf8! 2. ლ:f8 ლd2+ 3. მf1 ლ: b4. თეთრები დანებდნენ.

ქვემოთ მოყვანილი პოზიცია აღებულია ხომერიკი — კურლიადჩიკის (უკრაინა) პარტიიდან.



ამ პარტიაში თეთრებმა დებიუტშივე წამოიწყეს აქტიური მოქმედება მეფის ფრთაზე. შავებმა შესძლეს არ დაეშვათ ხაზების გახსნა, მაგრამ კონტრთამაში ვერ შექმნეს. ასეთ ვითარებაში h5-ზე შეწირვა გადამწყვეტ ძალას იძენს.

1. კ:h5! gh 2. ლ:h5 ლe8 3. f5!

მუქარაა 20. f6 ef 21. gf მ:f6 22. ე:g7+ თუ 20... კh8, მაშინ 21. g6 და იგებენ: 21. ... მ:f6 22. gf×

3. ... ლd8 4. ეf1 მe8 5. მe2 c4 6. კd4 მe5 7. კ:e5 de 8. f6 კh8 9. g6 შავები დანებდნენ.

## გამოგადგება

განყოფილება მიჰყავს გ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საყოფაცხოვრებო ესთეტიკის კაბინეტის პედაგოგს ლეილა ახობაძეს.

### კულინარია

### გარგარის ტორტი

ბისკვიტი ტორტისათვის:

10 ცალი კვერცხი;

3 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი;

$2^1/_2$ ჩაის ჭიქა ფქვილი;

კრემი ტორტისათვის

1 ლიტრა რძე;

3 ცალი კვერცხი;

2 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი;

6 სუფრის კოვზი ფქვილი;

300 გრ კარაქი;

400 გრ გარგარი;

ვანილი.

#### ბისკვიტის მომზადება

10 ცალი კვერცხის ცილა გათქვიფეთ, სანამ არ მიიღებთ სქელ მასას; დაუმატეთ შაქრის ფხვნილი და ურიეთ 15-20 წუთს, თან დაუმატეთ თითო კვერცხის გული და ურიეთ 20-25 წუთს. შემდეგ დაამატეთ ფქვილი და მოურიეთ ფრთხილად, ჩაასხით გამთბარ ყალიბში და გამოაცხეთ. გამომცხვარი ბისკვიტი გააციეთ, გაჭერით ჰორიზონტალურად, 2 ნაწილად და წაუსვით კრემი.

ზემოდან წაუსვით კრემი და დაალაგეთ გარგრის ნაჭრები.

#### კრემის მომზადება

3 ცალი კვერცხი და ორი ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი გათქვიფეთ გათეთრებამდე, დააყარეთ ფქვილი და მოურიეთ — დაასხით თბილი რძე და შედგით ნელ ცეცხლზე, თან ურიეთ განუწყვეტლივ. იდუღოს 5 წუთს, შემდეგ გადმოდგით, გააგრილეთ და დაუმატეთ წინასწარ ათქვეფილი კარაქი და წვრილად დაჭრილი გარგარი, აურიეთ კარგად. არომატისთვის მიუმატეთ ვანილი.




ნახმარი პომადის ბუდეს ნუ გადააგდებინებ. პომადის ადგილას შეგიძლია ცარცი ჩასვა. ცარცი ხელს აღარ მოგისვრის და ჯიბით ან ჩანთით სატარებლადაც მოხერხებული იქნება.

წვრილყელიანი ფლაკონიდან მეორეში სითხის გადასხმა რომ გაგიადვილდეს, გამხმარი ბალახის ღერო, ანდა წინდის ჩხირი იხმარე.





ტანსაცმლის კარადის კარის შიგა მხარეს შეგიძლია მავთულისაგან დამზადებული ასეთი საკიდი მოარგო. იოლი გასაკეთებელიც არის და კარგი მოსახმარისიც.

## თხილამურებით სრბოლა



გიფიქრია იმაზე, როდის გამოიგონა ადამიანმა თხილამურები? ცხადია, იმის თქმა, თუ ზუსტად რომელ წელს მოხდა ეს, შეუძლებელია. არქეოლოგები ჩრდილოეთის ძველ ბინადართა მიერ კლდეზე ამოკვეთილ ნახატებზე ხშირად პოულობენ თხილამურებზე შემდგარ ადამიანთა გამოსახულებას, რაც იმის დამადასტურებელია, რომ თხილამურებს უხსოვარ დროიდან ხმარობდა ადამიანი.

იმხანად თხილამურები გარეულ ცხოველებზე სანადიროდ იყო მხოლოდ გამოყენებული. იმ თხილამურებით არც სწრაფი რბოლა და არც თოვლზე სრიალი არ შე-






იძლებოდა. მაშინდელი თხილამურები წნელისაგან ან ტყავის თასმებისაგან კეთდებოდა და ადამიანს თოვლის ზედაპირზე იმაგრებდა. ხის თხილამურების კეთება მოგვიანებით დაიწყეს.

დღეს თხილამურები ძალზე პოპულარულია ყველა თოვლიან ქვეყანაში. ხოლო სადაც თოვლი არ მოდის, იმ ქვეყნებიდან ათასობით ადამიანი დათოვლილი სივრცეებისაკენ მიეშურება. ტრადიციული გახდა თხილამურებით შეჯიბრება —მსოფლიო პირველობაზე, ოლიმპიურ თამაშებში. ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ასპარეზობა ეწყობა სპორტის ამ შესანიშნავ სახეობაში.

როცა მსოფლიოს ცნობილ სპორტსმენებს ეკითხებიან, რომელი ასაკიდან დაიწყეთ თხილამურებით სიარული, უმეტესობა პასუხობს: სამიოთხი წლიდანო. მაგრამ თუ უკვე ათის ან ცამეტი წლისა ხარ, გული არ გაიტეხო, შეიყვარე სპორტის ეს სახეობა და იგი ბევრ სიამოვნებას მოგანიჭებს. ოღონდ ვიდრე თხილამურების შესაძენად მაღაზიას მიაშურებდე, დაიხსომე რამდენიმე რჩევა:

1. თხილამურების სიგრძე მოთხილამურის სიმაღლეს უნდა უდრიდეს, ხელი მაღლა ასწიე და თუ თითებით თხილამურის წვერს მისწვდები, შენი ზომა ყოფილა. გრძელი თხილამურებით ვერ ირბენ, მოკლეთი თოვლში ჩაიფლობი.

2. თხილამურებს კორძები არ უნდა ჰქონდეს. თორემ იმ ადგილას იოლად იცის გადატეხა.

3. თოვლზე მოსრიალე ზედაპირი პრიალა უნდა იყოს. თუ ზედაპირი ხაოიანია, თხილამურები არ ისრიალებს.

4. მოსრიალე ზედაპირზე ღარი სწორი და თანაბარი უნდა იყოს.

5. ერთმანეთზე მიდებულ თხილამურებს შუა ნაწილი ამოზნექილი უნდა ჰქონდეს.

6. ჯოხებიც შენი ზომისა უნდა შეარჩიო. მიიზომე — მხრამდე არ უნდა მოგწვდეს.

7. დაუყოვნებლივ იყიდე ფეხსაცმლის სამაგრიც და თხილამურების გასაპოხი ნაერთი.

8. სამაგრები ლურსმნით არ დაამაგრო, ამისათვის პირხრახნიანი სჭვალი იხმარე. ფეხზე შალის წინდები ჩაიცვი.

ახლა აგიხსნი, თუ როგორ უნდა ირბინო თხილამურებით. პირველად, ცხადია, სულ მარტივი მოძრაობებით უნდა დაიწყო. ჯერ სიარული უჯოხებოდ სცადე. ამისთვის რიგ-რიგობით ასწიე თხილამურების წვერი მაღლა, ქუსლს დააწექი და ნაბიჯი წინ გადადგი. ჯერ ხელები ნებისმიერად მოძრაობენ, შემდეგ ისე ამოძრავე, როგორც სიარულის დროს ხმარობ. როცა სიარულს კარგად ისწავლი, შემდეგ სრიალ-სრიალით რბოლა დაიწყე. წონასწორობა რომ არ დაკარგო, ფეხები ოდნავ მოხრილი უნდა გქონდეს. ამასთან ყურადღებით ადევნე თვალი, მოხრილი მუხლი ფეხსაცმლის ცხვირს ოდნავ უნდა სცილდებოდეს.

თუ თხილამურები ქუსლებზე გირტყამს, იცოდე, სწორედ არ მირბიხარ, შემდეგ ჯოხების გამოყენებაც შეიძლება. გახსოვდეს, რომ ჯოხები ბიძგისთვის არის საჭირო და არა წონასწორობის დასაცავად. ისწავლე ორივე ჯოხით ერთდროული ბიძგი.

აღმართი სხვადასხვანაირად უნდა დასძლიო. შეგიძლია გვერდულად ახვიდე, ან „ნაძვისებური“ ნაბიჯი იხმარო (ასე


ეროვნული ბიბლიოთეკა

იმიტომ ჰქვია, რომ თოვლზე ნაძვის მინამგვანი კვალი რჩება).

დაშვებისას მუხლები უნდა მოხარო და ტანი ოდნავ წინ გადასწიო, იმისათვის, რომ გორაკიდან სწრაფად დაშვებას დაეუფლო, გააკეთე რამდენიმე მოსამზადებელი ვარჯიში:

1. იპოვე დამრეცი ადგილი და რამდენჯერმე დაეშვი. თვალი ადევნე, მუხლები დაძაბული არ უნდა გქონდეს. ჯოხიანი ხელები ძირს დაუშვი.

2. სცადე დამრეცზე დაშვება ისე, რომ ხან ერთი ფეხი გასწიო წინ, ხან მეორე.

3. დაშვებისას მარჯვენა ფეხი ასწიე და მარცხენის იქით თხუთმეტიოცი სანტიმეტრით გადააბიჯე. შემდეგ მარცხენა ასწიე და ისე დადგი, რომ ორივე პარალელურად მისრიალებდეს.

ეს მოძრაობა ორსავე მხარეს გააკეთე.






## ბრტყელი ტელევიზორი

სურათის მსგავსად კედელზე ჩამოსაკიდი ტელევიზორი ინჟინერთა დიდი ხნის ოცნებაა.

იაპონური ფირმა „სონის" სპეციალისტებმა შექმნეს ბრტყელეკრანიანი ფერადი ტელევიზორის საცდელი ნიმუში. ეს ტელევიზორი პაპიროსის კოლოფივით თხელია, სამწუხაროდ, ზომითაც არ აღემატება მას.

## პინგვინები ფოსტალიონებად გამოდგებიან

შესაძლებელია, ახლო მომავალში პინგვინებმა შეცვალონ საფოსტო მტრედები არქტიკასა და ანტარქტიდაში. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ ამერიკელი მეცნიერები, რომლებმაც მთელი რიგი ექსპერიმენტები მოაწყეს ამ ფრინველებთან. აღმოჩნდა, რომ შორს გადაყვანილი პინგვინები შეუცდომლად აგნებენ თავიანთ პირველ ადგილსამყოფელს. მაგალითად, ერთერთი ცდის დროს პინგვინები მათ „სახლს" 600 მილით მოაშორეს, მეორედ კი 2400 მილით და ორივეჯერ დაბრუნდნენ შინ.

## ჯილდო სიმარტივისათვის

ჰოლანდიაში ფართოდ არის გაშლილი კამპანია იმისათვის, რათა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულების მოხელეთა მიერ შედგენილი დოკუმენტები სადა და ნათელი ტექსტით იყოს შედგენილი. თითოეულმა მოსამსახურემ აუცილებლად უნდა ჩააბაროს გამოცდა დოკუმენტების შედგენაში. ვინც ყოველდღიური მუშაობისას შეძლებს ზუსტად და მკაფიოდ ჩამოაყალიბოს საქმის არსი, მას პრემიითა და საჩუქრებით დააჯილდოებენ.

## პამიდორი და ულტრაბგერა

ერთმა ინგლისელმა ფერმერმა უზარმაზარი პამიდორი გამოიყვანა ულტრაბგერის დახმარებით, რომელსაც ყოველდღე აწვდიდა მცენარეს სტერეოტელეფონით. ნაყოფის წონა სარეკორდოა — ორ კილოგრამზე მეტს იწონის.

## დღეგრძელი ყარყატი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთ ოლქში ბიოლოგები თეთრი ყარყატების გადაფრენას აკვირდებოდნენ. შენიშნეს, რომ ერთ მათგანს, რომელიც დასასვენებლად ტელეგრაფის ბოძზე დაჯდა, ფეხზე რგოლი ჰქონდა. სწავლულებმა ჭოგრიტის საშუალებით მასზე წარწერა ამოიკითხეს, თურმე, ყარყატისათვის 26 წლის წინათ შეუბამთ რგოლი, როცა იგი ბარტყი ყოფილა. ამ ყარყატს თამამად შეიძლება ეწოდოს დღეგრძელი, მან ხომ უკვე ოცდაექვს წელიწადს იცოცხლა, იმ დროს, როცა ყარყატები საშუალოდ მხოლოდ 5-6 წელიწადზე მეტს ვერ ძლებენ.

## სარჩევი

ტიხონოვი ნ. — აპრილის საღამო (მოთხრობა) გარეკ. . . . 2
ხეჩუაშვილი ვ — ...მაინც გავარდა თოფი! (მოთხრობა) . 3
ბიბაური ბ. — რა ლამაზი ფურებია (ლექსი) . . . . 7
ხერგიანი მ. — როცა გვეძახის ცისფერი გზა (ნარკვევი) . 8
ქნელაძე ა. — მაისის წვიმა; ქებათა-ქება ნაჯაფარ ხელებს; უსათაურო . . . . . . . . . 10
ფურცხვანიძე ა. — კოსმოსი და ადამიანი (წერილი) . . 12
კოვალი ვ. — პეტია, მე და ატომები (მოთხრობა) . . 14
ნიჟარაძე ბ. — იუმორი . . . . . . . . 21
აისი . . . . . . . . . . . . . . 21
გურასპაული ა. — ჰკარ და ნახე (მოთხრობა) . . . 23
თოფაძე გ. ებანოიძე თ. — მეჯლისი პრინცესასთან (საუბარი) . . . . . . . . . . . 25
ჯანდიერი ი. — საფარა (წერილი) . . . . . . 27
მხედრიონი . . . . . . . . . . . 29
გამოგადგები . . . . . . . . . . 30
საზრიანის ხელში . . . . . . . . . 30
ყურადღება, სტარტზე! . . . . . . . . 31
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . . გარეკ. . 3

გარეკანის პირველი გვერდი იოსებ სამსონაძისა.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-08 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ» на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 17/IX-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/XI-75 წ. ქაღალდის ფორმატი 60X90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19.
შეკვ. № 3464. ტირ. 140.875. უე 02077.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

## გამოცანები

ცოცხალ ჯაგრისს,
ტანეკალას,
მგელიც ველარ გაეკარა.

●

კოხტად შევკარი მთაშია,
ჩამოვაცურე ბარშია,
ოდად მიდგია ეზოში,
გემად დამიდის ზღვაშია.

●

მინდორს ვარცხნის
გადაცელილს
გრძელკბილება
სავარცხელი.

●

გავალე წინა კარია,
შიგ ასფურცელა ჯარია,
ახალი ამბის სათქმელად
ჲამზადებული არიან.

გ. წერეთელი.

●

ფაქიზი ფრთების
ფარფატით
გადაეფარა მიწას,
ბარიდან მალე წავიდა,
მთაზე კი დიდხანს იწვა.

●

ეგ ქარვისფერი მძივები
ნეტავი როგორ აკინძე!
თვალსაც ახარებ და
გულსაც,
სუფრას უმშვენებ
მასპინძელს,

●

მიწა-მიწა დავძვრები,
ჟანგი არ მეკიდება,
მე რომ არა, ჯეჯილი
ველარ აბიბინდება.

ალექსი ნამორაძე.

## პასუხი 1975 წლის № 10-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"




### კროსვორდი

**თარაზულად:** 2. ორლანო; 4. კომში; 7. ტოროლა; 9. ირემი; 11. ქარელი; 12. ქართლი; 13. არტეკი; 14. სოფია; 16. მეხი; 18. გოია; 20. იტრია; 22. სარფი; 24. საბუე; 26. ფორი; 28. ტარა; 29. აორტა; 31. ხორთუმი; 34. სიონი; 35. სტილი; 37. ფეიხოა; 38. აზოვი; 40. ლიმონი; 41. საინი; 44. ანბანი; 46. მეხრე; 47. ანაპა; 48. ტაიმი; 50. როიალი; 51. კუმისი; 53. ბალზაკი.

**შვეულად:** 1. გოეთე; 3. ნორიო; 5. ქისტაური; 6. ცარიცინი; 8. ოდესა; 10. ექიმი; 15. ირმა; 17. ხარკოვი; 19. აგარა; 20. ისკრა; 21. გირაო; 23. რომეო; 25. არია? 27. ასტურია; 30. ატომი; 32. ხომლი; 33. აკაკი; 34. სალტე; 36. ლისტი; 38. ანტრაქტი; 39. დვალი; 42. კალია; 43. იორდანია; 45. ამალა; 49. მტერი; 52. მისია.

**შარადა**
ლეონიძე.

## გასართობი

| | | | |
|---|---|---|---|
| თ | ე | მ | ი |
| ქ | ა | რ | ი |
| ზ | ა | ქ | ი |
| ჯ | ა | რ | ა |

მოცემულია ოთხი სიტყვა. თითოეულ სიტყვაში შეცვალე თითო ასო ისე, რომ მიიღო სხვა სიტყვები, ხოლო შეცვლილი ოთხი ასოსაგან წაიკითხე საქართველოს ერთ-ერთი ქალაქის სახელწოდება.

მამუკა მახარაძე,
თბილისის მე-19 საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.

## რა წერია?




შეასრულეთ აქ მოცემული არითმეტიკული მოქმედება. შემდეგ ქართულ ანბანში მიღებული რიცხვების შესაბამისად ჩაწერეთ ასოები (ვთქვათ, მოქმედების შედეგად მიიღეთ 7, ანბანში უნდა მოძებნოთ მე-7 ასო). უნდა წაიკითხოთ სამამულო ომის გმირი ქალიშვილის სახელი და გვარი.

ირმა ომიაძე,
თბილისის მე-19 საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.





ნახატი ხუმრობები.

უსიტყვოდ.



მ. ფილიმონოვის ფოტო
ოქროს შემოდგომა თბილისის ბოტანიკურ ბაღში

ИНДЕКС 76157